



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



სასამართლო პრაქტიკის  
ანალიზი ადევნების და  
ქორწინების იძულების  
დანაშაულებზე (2018-2022)



გაეროს ქალთა ორგანიზაცია  
2023

წინამდებარე კვლევა მომზადებულია პროგრამის „ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საქართველოში“ ფარგლებში, რომელსაც გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებენ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს და ის, შესაძლოა, არ ასახავდეს ევროკავშირის, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის ხედვას.

სასამართლო პრაქტიკის  
ანალიზი ადევნების და  
ქორწინების იძულების  
დანაშაულებზე (2018-2022)



ბაეროს ქალთა ორგანიზაცია  
თბილისი, საქართველო, 2023

**კვლევა მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და  
ანალიზის ცენტრის მიერ**

**ავტორი და მთავარი რედაქტორი:**

**მარინე კვაჭაძე**

სამართლის დოქტორი, პროფესორი, ანალიტიკური განყოფილების უფროსი

**ავტორები:**

**ელენე დვინჯილია**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და  
ანალიზის ცენტრის მთავარი კონსულტანტი

**გულიკო მჭედლიშვილი**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და  
ანალიზის ცენტრის მთავარი კონსულტანტი

**თამარ დეკანოსიძე**

გაეროს ქალთა ორგანიზაციის კონსულტანტი და Equality Now-ს ევრაზიის  
რეგიონის წარმომადგენელი.

# სარჩევნო

აბრევიატურები	6
შესავალი	7
მეთოდოლოგია	9
ძირითადი მიგნებები	11
I. მტკიცებულებითი სტანდარტი ქალთა მიმართ ჩადენილ ცალკეულ დანაშაულებზე	15
1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები	15
2. საქართველოს კანონმდებლობა	16
3. პრაქტიკა	16
II. სასჯელები და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები	24
1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები	24
2. საქართველოს კანონმდებლობა	26
3. პრაქტიკა	28
3.1. დამამძიმებელი გარემოებები	28
3.2. შემამსუბუქებელი გარემოებები	42
III. საპროცესო შეთანხმების გამოყენება	43
IV. მსჯავრდებულთათვის დაკისრებული მოვალეობები სსკ-ს 65-ე მუხლის მიხედვით	47
V. სასამართლოს მიერ დანაშაულის გადაკვალიფიცირება	48
დასკვნა	50
რეკომენდაციები	52
დანართები	54
დანართი 1	54
დანართი 2	54
დანართი 3	55
დანართი 4	56

# აბრევიატურები

CEDAW	გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ICC	საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო
GREVIO	ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
სსსკ	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
სტამბოლის კონვენცია	ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია

## შეჯამება

საქართველომ ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის კანონმდებლობის, პოლიტიკის და პრაქტიკის მიმართულებით. 2017 წელს პარლამენტმა, ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის სფეროში ყველაზე მრავლისმომცველი საერთაშორისო ხელშეკრულების - „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში - სტამბოლის კონვენცია) რატიფიცირება მოახდინა და საქართველოს კანონმდებლობის კონვენციასთან ჰარმონიზაციის მიზნით, ძირეული ცვლილებები განახორციელა სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში, მათ შორის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (შემდგომში - სსკ).

სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც „ადევნების“ კრიმინალიზაციას ითვალისწინებს, 2017 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექს 151<sup>1</sup> მუხლი დაემატა, რომელიც ადევნებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას განსაზღვრავს, რაც მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს. ამასთან, სსკ-ით კრიმინალიზებულ იქნა ქორწინების იძულება (სსკ-ის 150<sup>1</sup> მუხლი), რაც ადევნებასთან ერთად წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის საკვლევ დანაშაულს. აღნიშნული დანაშაული სსკ-ში ჯერ კიდევ, სტამბოლის კონვენციის რატიფიცირებამდე აისახა, 2014 წელს. თუმცა, სწორედ ევროპის საბჭოს კონვენცია გახდა საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველი, რადგან კანონმდებლის მიზანი კონვენციით აღიარებული პრინციპებისა და იმ ცალკეული ნორმების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა იყო, რასაც იმ დროისთვის მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებდა.

ამჟამად, კანონმდებლობა ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმას განსაზღვრავს და ძალადობაზე რეაგირების მნიშვნელოვან მექანიზმებს ითვალისწინებს. თუმცა, მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ქალთა მიმართ ძალადობა კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩე-

ბა. შესაბამისად, მართლმსაჯულების სისტემისა და სახელმწიფო ინსტიტუტების სხვა რგოლების ეფექტიანი მუშაობა მნიშვნელოვანია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაში და მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვასა და დახმარებაში.

იმის გათვალისწინებით, რომ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სასამართლო სისტემას განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო როლი აკისრია, კვლევის მიზანია საკანონმდებლო რეგულაციებისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების კვალდაკვალ, წარმოაჩინოს საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა. შესაბამისად, კვლევა შეისწავლის და სიღრმისეულად აანალიზებს საერთო სასამართლოების მიერ დადგენილ განაჩენებს, რათა შეაფასოს სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული ტენდენციები (პროგრესული მიდგომები და გამოწვევები) და შეიმუშაოს რეკომენდაციები საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით.

წინამდებარე კვლევა მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ქალთა მიმართ ძალადობის ისეთ ცალკეულ დანაშაულებს როგორცაა:

1. სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლი - ადევნება;
2. სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლი - ქორწინების იძულება;
3. სსკ-ს 143-ე მუხლი - თავისუფლების უკანონო აღკვეთა (კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მითითებულ მუხლში იგულისხმება ქორწინების იძულების მიზნით ქალის მოტაცება).

დანაშაულების სპეციფიკიდან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკის შესწავლა მოხდა გენდერულ ჭრილში.

კვლევა ფართომასშტაბიანია, რადგან მასში გაანალიზებულია საქართველოს საერთო სასამართლოებიდან მონოდებული ყველა განაჩენი/განჩინება, რომლებიც მიღებულ იქნა 2018-2022 წლებში. შესაბამისად, კვლევა ზემოხსენებულ

დანაშაულებთან მიმართებით (2018-2022 წლების პერიოდში) მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით სრულ სურათს იძლევა.

დოკუმენტი საინტერესო იქნება არამარტო მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პირე-

ბისტვის, არამედ სამართლის, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების გამწევი პროფესიონალებისა და ამ თემით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის.



# მეთოდოლოგია

კვლევის მიზნებისთვის ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულებში იგულისხმება: ქორწინების იძულება (სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლი), ადევნება (სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლი) და ქორწინების იძულების მიზნით ქალის მოტაცება (სსკ-ს 143-ე მუხლი - თავისუფლების უკანონო აღკვეთა).

კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავდა მეთოდოლოგია სტამბოლის კონვენციისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების საფუძველზე (ადგილობრივი ექსპერტების და საერთაშორისო ორგანიზაცია Equality Now-ს წარმომადგენლების მონაწილეობით, რომლებიც მკვლევრებს ასევე კონსულტაციებს უწევდნენ კვლევის მიმდინარეობის პროცესში).

ამასთან, შემუშავდა ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულებზე სტამბოლის კონვენციითა და ადამიანის უფლებათა სხვა ინსტრუმენტებით გათვალისწინებული სტანდარტების სამაგიდო კვლევა. გაანალიზდა საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ქრილში.

საკვლევი პერიოდი მოიცავს 2018-2022 წლებს. შესაბამისად, საქართველოს მასშტაბით, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებიდან გამოთხოვილ იქნა მითითებულ წლებში

დამდგარი გამამართლებელი და გამამტყუნებელი განაჩენები (მათ შორის, დანაშაულთა ერთობლიობით განხილული საქმეები და საპროცესო შეთანხმების დამტკიცებით დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენები), ხოლო უზენაესი სასამართლოს განაჩენები/განჩინებები მოძიებულ იქნა სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამაში (იხ.: <https://www.supremecourt.ge/ka/cases/>):

**პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან** მიღებულ იქნა 359 განაჩენი. მათ შორის, ადევნება ფიგურირებდა 271 განაჩენში<sup>1</sup>; ქორწინების იძულება - 28 განაჩენში<sup>2</sup>, ხოლო ქორწინების იძულების მიზნით ქალის მოტაცება - 60 განაჩენში<sup>3</sup>.

**მეორე ინსტანციის სასამართლოებიდან** მიღებულ იქნა 152 განაჩენი. მათ შორის, 125 გასაჩივრებულ განაჩენში ფიგურირებდა ადევნება<sup>4</sup>; 15-ში ქორწინების იძულება<sup>5</sup> და 12-ში ქორწინების იძულების მიზნით ქალის მოტაცება<sup>6</sup> (სსკ-ს 143-ე მუხლი - თავისუფლების უკანონო აღკვეთა).

**საკასაციო სასამართლოს** მიერ დადგენილი განაჩენები და განჩინებები მოძიებულ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალურ ვებგვერდზე. სსკ-ს 143-ე მუხლი - ქორწინების იძულების მიზნით ქალის მოტაცება ფიგურირებდა დაუშვებლად ცნობის შესახებ 9 განჩინებაში<sup>7</sup>;

<sup>1</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან მიღებულ იქნა შემდეგი რაოდენობის განაჩენები: 2018 წლის 24 განაჩენი, მათ შორის, ადევნების ბრალდებაში გამართლდა 1 პირი; 2019 წლის 56 განაჩენი და მათ შორის, 4 განაჩენში ადევნების ბრალდებაში გამართლდა 4 პირი; 2020 წლის 49 განაჩენი, რომელშიც 2 პირი გამართლდა ადევნების ბრალდებაში; 2021 წლის 68 განაჩენი მათ შორის, ადევნების ბრალდებაში გამართლდა 9 პირი; 2022 წლის 74 განაჩენი, რომელშიც გამართლდა 17 პირი.

<sup>2</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან მიღებულ იქნა შემდეგი რაოდენობის განაჩენები: 2018 წლის - 3 გამამტყუნებელი განაჩენი, 2019 წლის - 2 გამამტყუნებელი განაჩენი, 2020 წლის - 5 გამამტყუნებელი განაჩენი, 2021 წლის - 9 განაჩენი, რომელშიც ქორწინების იძულებისთვის გამართლდა 2 პირი, ასევე 2022 წლის - 9 განაჩენი, რომელშიც ქორწინების იძულებისთვის გამართლდა 1 პირი.

<sup>3</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან მიღებული იქნა შემდეგი რაოდენობის განაჩენები: 2018 წლის 13 გამამტყუნებელი და 1 გამამართლებელი განაჩენი; 2019 წელს - 11 გამამტყუნებელი განაჩენი და 1 გამამართლებელი განაჩენი; 2020 წელს - 9 გამამტყუნებელი განაჩენი, 2021 წელს - 17 გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო 2022 წელს - 8 გამამტყუნებელი განაჩენი.

<sup>4</sup> 2018 წლის 7 განაჩენი; 2019 წლის - 26, 2020 წლის - 29; 2021 წელს - 22; 2022 წელს - 41.

<sup>5</sup> 2019 წლის 3 განაჩენი; 2020 წლის 4 განაჩენი; 2021 წლის 3 განაჩენი; 2022 წლის 5 განაჩენი.

<sup>6</sup> 2018 წლის 6 განაჩენი; 2019 წლის 2 განაჩენი; 2020 წლის 2 განაჩენი; 2021 წლის 1 განაჩენი; 2022 წლის 1 განაჩენი.

<sup>7</sup> 2018 წლის 2 განჩინება; 2019 წლის 4 განჩინება; 2020 წლის 2 განჩინება; 2021 წლის 1 განჩინება.

სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლი ფიგურირებდა დაუშვებლად ცნობის შესახებ 3 განჩინებაში<sup>8</sup>, ხოლო სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლი ფიგურირებდა 21 საქმეში<sup>9</sup>, რომელთაგან 1-ში დადგა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 20 საქმე დაუშვებლად იქნა ცნობილი.

კვლევის მეორე ეტაპზე განხორციელდა ქალთა მიმართ ძალადობის დანაშაულების შესახებ სასამართლო პრაქტიკის კვლევა (შესწავლილ იქნა მხოლოდ სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენები და არა მთლიანად სისხლის სამართლის საქმეები).

სასამართლოებიდან მიღებული განაჩენები საკვლევი თემის მიზნებიდან გამომდინარე დამუშავდა წინასწარ შეთანხმებული ინდიკატორების მეშვეობით:

- საქმის განმხილველი სასამართლო;
- განაჩენის დადგომის თარიღი;
- დანაშაულის კვალიფიკაცია;
- მსხვერპლის სქესი (არასრულწლოვანობაზე მითითება);
- მოძალადის სქესი, ნასამართლობა;
- ნათესაური კავშირი მოძალადესა და მსხვერპლს შორის;
- დანაშაულის ჩადენის მოტივი;
- დანაშაულის ჩადენის ხერხი;
- დანაშაულებრივი ქმედების შედეგი მსხვერ-

პლთან მიმართებით;

- შემკავებელი და დამცავი ორდერები;
- არაერთგზისობა;
- მტკიცებულებები;
- პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები (მათ შორის, სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლზე მითითება);
- საპროცესო შეთანხმება;
- აღკვეთის ღონისძიების სახე;
- სასჯელის სახე და ზომა;
- გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობა;

კვლევის ფარგლებში შესწავლილი დანაშაულები ძირითადად ქალების/გოგოების წინააღმდეგ არის მიმართული, თუმცა გამოვლინდა განაჩენთა მცირე ნაწილი, რომელშიც მსხვერპლი იყო კაცი და შესაბამისად, კვლევის ფარგლებში აღნიშნული განაჩენების გაანალიზებაც მოხდა.

მესამე ეტაპზე, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების კვალდაკვალ, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საერთო სასამართლოების პრაქტიკა. კვლევაში უხვადაა წარმოდგენილი სასამართლო განაჩენებიდან პროგრესული მიდგომებისა და გამოწვევების მაგალითები (ციტირების სახით). ასევე, გაანალიზებულია სტატისტიკური მონაცემები და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების დასაძლევად წარმოდგენილია რეკომენდაციები.

<sup>8</sup> 2019 წლის 1 განჩინება; 2021 წლის 1 განჩინება; 2022 წლის 1 განჩინება.

<sup>9</sup> 2019 წლის 1 განჩინება; 2020 წლის 2 განჩინება და 1 გამამართლებელი განაჩენი; 2021 წლის 9 განჩინება; 2022 წლის 8 განჩინება.

# ძირითადი მიზნები

**ქორწინების იძულებასთან მიმართებით**, საერთო სასამართლოების განაჩენების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:<sup>10</sup>

- მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩატარებული არაერთი კვლევა<sup>11</sup> მიუთითებს იმაზე, რომ კვლავ მაღალია ქვეყანაში საზიანო პრაქტიკა ქორწინების იძულებასთან დაკავშირებით, საერთო სასამართლოებში განხილული საქმეები აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით ძალიან მწირია. 2018-2022 წლებში დადგენილი განაჩენების მიხედვით, ქორწინების იძულებისთვის მსჯავრი დაედო მხოლოდ 31 პირს;
- ქორწინების იძულების მსხვერპლთა თითქმის ნახევარი არასრულწლოვანი გოგო იყო;<sup>12</sup>
- იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტით აღიარებულია, რომ ქორწინების იძულება თავისი არსით გენდერული დისკრიმინაციის შემცველი დანაშაულია, განაჩენებში იშვიათადაა აქცენტირება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ქორწინების იძულებაზე, რაც გენდერის ნიშნის გამოკვეთის პრობლემაზე მიუთითებს;
- ცალკეულ შემთხვევებში, სასამართლოები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში სიღრმისეულად მსჯელობენ ქორწინების იძულების დანაშაულზე და მის მავნე ზეგავლენაზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს;

- სასამართლო დამნაშავეთა მიმართ ძირითადად იყენებს არასაპატიმრო სასჯელებს. შესაბამისად, გამონკვევად რჩება ქორწინების იძულების ფაქტებზე მსჯავრდებული პირებისათვის სათანადო სასჯელების შეფარდების საკითხი, მით უფრო მაშინ, როდესაც დაზარალებული არასრულწლოვანია;
- სასამართლო პრაქტიკა ძალიან მწირია, პირობითი მსჯავრის დროს, მსჯავრდებულთათვის დამატებითი მოვალეობების დაკისრების თვალსაზრისით. მხოლოდ ერთ საქმეში<sup>13</sup> დაეკისრა მოძალადეს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სასწავლო კურსის გავლა, რაც პოზიტიურ მიგნებად უნდა შეფასდეს.

**ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან მიმართებით**, საერთო სასამართლოების განაჩენების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:<sup>14</sup>

- აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით საპროცესო შეთანხმების გაფორმების პრაქტიკა ძალიან აქტუალურია, მათ შორის, მაშინაც, როდესაც დაზარალებული არასრულწლოვანი გოგოა. პირველი ინსტანციის მიერ დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენების თანახმად, 161 პირს მსჯავრი დაედო ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, მათ შორის, 141 პირთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება ე.ი. დაახლოებით 87.5 %-ში;

<sup>10</sup> სტატისტიკური ინფორმაცია მოცემულია პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი განაჩენების მიხედვით.

<sup>11</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში - საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, იხ.: <https://ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf>, გვ. 155.

<sup>12</sup> გამამტყუნებელი განაჩენების მიხედვით, ქორწინების იძულების მსხვერპლი, 2018-2022 წლებში იყო 26 ქალი, მათ შორის, 12 არასრულწლოვანი გოგო.

<sup>13</sup> თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/49-18.

<sup>14</sup> სტატისტიკური ინფორმაცია მოცემულია პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი განაჩენების მიხედვით.

- საპროცესო შეთანხმება ძირითად შემთხვევაში ფორმდება დამატებითი სასჯელის - ჯარიმის დაკისრებით (118 მსჯავრდებულს დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმა დაეკისრა). ჯარიმის მინიმალური ოდენობა შეადგენდა 2 000 (ორი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური ოდენობა - 20 000 (ოცი ათასი) ლარს. თუმცა, განაჩენებში მსჯავრდებულთა გადახდისუნარიანობის საკითხი არ იკითხებოდა;
- საქმის არსებითი განხილვის გარეშე დამდგარ განაჩენებში ძალიან მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ასევე ნაკლებად არის დასაბუთებული დამნაშავეთა მიმართ გამოყენებული სასჯელის სახე და ზომა. ძირითადად, მკაფიოდ არ იკითხება თუ რა კრიტერიუმების (პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების) გათვალისწინებით ხდება ერთსა და იმავე დანაშაულში, ერთი და იმავე მუხლით ან მუხლის ნაწილით მსჯავრდებული სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული სასჯელების განსაზღვრა. ზოგიერთ შემთხვევაში, შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სხვადასხვა სასჯელების განსაზღვრისას დიდწილად გავლენას ახდენს ნასამართლობა და წინასწარ შეთანხმებულ დანაშაულებრივ ჯგუფში განსაზღვრული თითოეული პირის როლისა და ფუნქციის შეფასება;
- სამი ბრალდებული სასამართლომ გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში. მათ შორის, ერთ განაჩენში პირი თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებაში გაამართლდა იმ საფუძველით, რომ სასამართლომ დადგინილი ფაქტობრივი გარემოებები მიუსადაგა ადევნების შემადგენლობას და მასში ვერ დაინახა თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემადგენლობისთვის კანონმდებლის მიერ გათვალისწინე-

ბული სავალდებულო ნიშნების არსებობა;<sup>15</sup>

- ერთ საქმეში სასამართლომ ორ ბრალდებულთან მიმართებით ბრალი გადააკვალიფიცირა სსკ-ს 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებიდან სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლის 1-ელ ნაწილზე (ვრცლად იხ.: თავი V).

**ადევნებასთან მიმართებით** საერთო სასამართლოების განაჩენების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, შემდეგი ტენდენციები გამოიკვეთა:<sup>16</sup>

- გამამტყუნებელმა განაჩენებმა ცხადყო, რომ ძირითად შემთხვევაში ადევნების მსხვერპლი იყო ქალი,<sup>17</sup> ხოლო მოძალადე კაცი. ამასთან, მცირე რაოდენობით, თუმცა პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ადევნების მსხვერპლი გამხდარა კაცი;<sup>18</sup>
- ხშირად ქალებზე ადევნება მას შემდეგ ხორციელდება, როდესაც ისინი კაცებთან ასრულებენ სასიყვარულო ურთიერთობას. თუმცა, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მსხვერპლისთვის მოძალადე ან უბრალო ნაცნობია ან საერთოდ უცნობი პირია;
- 2018-2020 წლებთან შედარებით 2021-2022 წლებში სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის გამოყენების მაჩვენებელი მზარდია, რაც დადებითად უნდა შეფასდეს;
- მისასალმებელია ბოლო წლების განაჩენებში გაკეთებული განმარტებები დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენასთან დაკავშირებით. კერძოდ, ცალკეულ განაჩენებში მოსამართლეები საერთაშორისო დოკუმენტებისა და განმარტებების შესაბამისად სიღრმისეულად ასაბუთებენ დანაშაულის გენდერის მოტივით ჩადენას და მხოლოდ კანონმდებლობის ჩანაწერით არ შემოიფარგლებიან;

<sup>15</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/2049-19.

<sup>16</sup> სტატისტიკური ინფორმაცია მოცემულია პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი განაჩენების მიხედვით: საანგარიშო პერიოდში (2018-2022 წწ) შესწავლილი განაჩენების თანახმად, სახელმწიფო ბრალმძებელი 271 პირს ედავებოდა სსკ-ს 1511 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. მათ შორის, 33 პირი სასამართლომ გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო 238 პირს მსჯავრი დაედო ადევნების განხორციელებისთვის.

<sup>17</sup> 2018-2022 წლებში ადევნების მსხვერპლი იყო 226 ქალი და 10 არასრულწლოვანი გოგო.

<sup>18</sup> 9 დაზარალებული კაცის მიმართ ადევნება განახორციელა 4 ქალმა და 5 კაცმა.



- დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი ის ცალკეული განაჩენები, რომლებშიც მოსამართლეები განმარტავენ, რომ ექსპერტიზის დასკვნის არსებობა არ არის აუცილებელი იმის დასადგენად, პირის ქმედებებმა გამოიწვია თუ არა დაზარალებულის ფსიქიკური ტანჯვა;
- ადევნების მუხლით ბრალდებული პირების მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმების რაოდენობრივი მაჩვენებელი დაბალია, რაც მისასაღმებელია. 2018-2022 წლებში, საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 23 პირთან, რაც მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის მცირე ნაწილს, დაახლოებით 10%-ს წარმოადგენს;
- სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, სსკ-ს 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლით) მსჯავრდებული პირების მიმართ სასჯელის სახედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით ძირითადად განისაზღვრება დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს, ხოლო რაც შეეხება მხოლოდ ადევნების კვალიფიკაციით მსჯავრდებულ პირებს (მათ შორის, სსკ-ს 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლით), მათ მიმართ უმრავლეს შემთხვევაში სასჯელის სახით განსაზღვრულ იქნა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, რომელიც დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის, დაზარალებულის პოზიციის მხედველობაში მიღებით, ჩაითვალა პირობითად. შესაბამისად, კვლავ გამონვევად რჩება სათანადო სასჯელების შეფარდების საკითხი;
- ადევნებისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ ყველაზე ხშირად დამატებითი სასჯელის სახით განისაზღვრება იარაღთან დაკავშირებული უფლების შეზღუდვა. თუმცა, განაჩენებში ფართოდ არ იკითხება დამატებითი სასჯელის გამოყენების წინაპირობები;
- სასამართლო პრაქტიკა ძალიან მწირია, პირობითი მსჯავრის დროს, მსჯავრდებულთათვის დაკისრებული დამატებითი მოვალეობების

თვალსაზრისით. თუმცა, ზუგდიდის რაიონული სასამართლო, დანაშაულის განმაპირობებელი ფაქტორების გათვალისწინებით, სხვა სასამართლოებთან შედარებით უფრო ხშირად იყენებს სსკ-ს 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების დაკისრების შესაძლებლობას, ადევნების განმახორციელებელი პირების მიმართ;

- ორ საქმეში სასამართლომ, თავისი ინიციატივით, ბრალი გადააკვალიფიცირა. კერძოდ, ერთ საქმეში სასამართლომ ბრალი გადააკვალიფიცირა სსკ-ს 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე. წარდგენილი ბრალდებიდან პირს მოეხსნა მაკვალიფიცირებელი ნიშანი - წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, ხოლო მეორე საქმეში სასამართლომ ბრალი გადააკვალიფიცირა სსკ-ს 11<sup>1</sup> 151<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან, ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე. წარდგენილი ბრალდებიდან პირს მოეხსნა მაკვალიფიცირებელი ნიშანი - არაერთგზისობა (ვრცლად იხ.: თავი V).

**კვლევის ფარგლებში შესწავლილი და გაანალიზებული განაჩენების საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი სახის ძირითადი მიგნებები, რომლებიც ეხება სამივე დანაშაულზე - ქორწინების იძულება, ქორწინების იძულების მიზნით ქალის მოტაცება და ადევნება - მართლმსაჯულების განხორციელებას:**

- საქართველოს საერთო სასამართლოები არაერთგვაროვნად განმარტავენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებულ ჩანაწერს - გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად მტკიცებულებათა ერთობლიობის აუცილებლობასთან დაკავშირებით. თუმცა ცალსახაა, რომ განაჩენების უმრავლესობაში „მტკიცებულებათა ერთობლიობაში“ მოიაზრება მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობის აუცილებლობა, იმისთვის, რათა საქმეზე დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, აღნიშნული სტანდარტის ხისტი გამოყენება, დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლოა ხელს უშლიდეს გენდერული ძალადობის მსხვერ-

პლებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას;<sup>19</sup>

- სამივე დანაშაულთან მიმართებით, გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობა მცირეა. მათ შორის, პირის უდანაშაულოდ ცნობა მეტწილად განპირობებულია იმით, რომ დაზარალებულმა გამოიყენა მისთვის მინიჭებული საპროცესო უფლება და უარი განაცხადა სასამართლოსთვის ჩვენების მიცემაზე, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელდა მის ახლო ნათესავს;
- ბოლო წლებში, არსებული პროგრესის მიუხედავად, პრაქტიკაში კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე გენდერული მოტივის გამოკვეთა;
- გარკვეულ შემთხვევებში სასჯელის განსაზღვრისას, ბრალდებულის პიროვნების მახასიათებლებისა და ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე კონკრეტული საფრთხეების შეფასებისას ნაკლებად მახვილდება ყურადღება (განაჩენის ტექსტის მიხედვით) ძალადობის წინარეისტორიაზე, მათ შორის, ბრალდებულის მიმართ წარსულში გამოცემულ შემაკავებელ ან/და დამცავ ორდერებზე. თუმცა, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის

გათვალისწინებით, სამართლიანი სასჯელის დანიშვნისას მნიშვნელოვანია, მათზე მსჯელობა განაჩენის სამოტივაციო ნაწილში აისახოს;

- გამოწვევად რჩება მსჯავრდებულთათვის სათანადო სასჯელების შეფარდების საკითხი. სასამართლო დამნაშავეთა მიმართ ძირითად შემთხვევაში არასაპატიმრო სასჯელებს იყენებს;
- ცალკეულ განაჩენებში ფართოდ არ იკითხება მსჯელობა დამნაშავეის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების შესახებ, რომლის მხედველობაში მიღებითაც განისაზღვრება საბოლოო სასჯელი;
- სააპელაციო სასამართლოებიდან მონოდებული განაჩენების თანახმად, სამივე დანაშაულთან მიმართებით, უმეტეს შემთხვევაში, მეორე ინსტანციის სასამართლო უცვლელად ტოვებს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილ განაჩენებს;
- საქართველოს უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებული განაჩენების უმრავლესობა დაუმუშავებლად იქნა ცნობილი.<sup>20</sup>

<sup>19</sup> მტკიცებულებითი სტანდარტები განხილულია წინამდებარე კვლევის 1-ელ თავში.

<sup>20</sup> ადევნებასთან მიმართებით: მეორე ინსტანციის სასამართლოებიდან მიღებულ იქნა 125 განაჩენი. მათ შორის, პროკურორის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებული განაჩენი უცვლელად დარჩა 90 შემთხვევაში; საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 4 შემთხვევაში, ხოლო სრულად დაკმაყოფილდა 2 შემთხვევაში. რაც შეეხება მსჯავრდებულისა და მისი ინტერესების დამცველის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებულ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს, იგი უცვლელად დარჩა 39 შემთხვევაში; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2 შემთხვევაში, ხოლო სრულად დაკმაყოფილდა 3 შემთხვევაში (ორ მსჯავრდებულს შეუმსუბუქდა სასჯელი, ხოლო 1 გამართლდა). **შენიშვნა:** სტატისტიკური მონაცემები აღემატება განაჩენთა მთლიან რაოდენობას, რადგან 15 განაჩენში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენი ორივე მხარეს ჰქონდა გასაჩივრებული, როგორც ბრალდების მხარეს, ისე მსჯავრდებულსა და მისი ინტერესების დამცველს.

ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან მიმართებით მიღებულ იქნა 12 განაჩენი. მათ შორის, პროკურორის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებული განაჩენი უცვლელად დარჩა 2 შემთხვევაში; საჩივარი სრულად დაკმაყოფილდა 4 შემთხვევაში და მსჯავრდებულებთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო რაც შეეხება მსჯავრდებულისა და მისი ინტერესების დამცველის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებულ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენს, იგი უცვლელად დარჩა 4 შემთხვევაში და 3 შემთხვევაში საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. **შენიშვნა:** სტატისტიკური მონაცემები აღემატება განაჩენთა მთლიან რაოდენობას, რადგან 1 განაჩენში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენი ორივე მხარეს ჰქონდა გასაჩივრებული, როგორც ბრალდების მხარეს, ისე მსჯავრდებულსა და მისი ინტერესების დამცველს.

# I. მტკიცებულებითი სტანდარტი ქალთა მიმართ ჩადენილ ცალკეულ დანაშაულებზე

## 1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების დასადასტურებლად მტკიცებულებების მიმართ არასათანადოდ მკაცრი მოთხოვნები ქალებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას უზღუდავს. CEDAW კომიტეტი ზოგად რეკომენდაციაში მიუთითებს, რომ უნდა გადაისინჯოს მტკიცებულების ნარდგენის შესახებ არსებული წესები და მათი პრაქტიკაში განხორციელება, განსაკუთრებით, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან მიმართებით, ხოლო სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა მტკიცებულებითი მოთხოვნები არ იყოს ზედმეტად მოუქნელი, შემზღვეველი ან გენდერული სტერეოტიპებით ნაკარნახევი.<sup>21</sup>

CEDAW კომიტეტი ასევე მიუთითებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა გადაისინჯონ მტკიცების ტვირთის შესახებ არსებული დებულებები, რათა უზრუნველყონ მხარეებს შორის თანასწორობა ყველა სფეროში, სადაც ძალაუფლებრივი ურთიერთობები ქალებს ართმევს შესაძლებლობას, მათი საქმე სამართლიანად გადაწყდეს.<sup>22</sup>

მტკიცებულება, რომელიც ეხება მსხვერპლის

სქესობრივი ცხოვრების ისტორიას და სქესობრივ ქცევას, ნებადართული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ეს შეესაბამება საქმის არსს და მნიშვნელოვანი მტკიცებითი ძალა აქვს.<sup>23</sup>

საერთაშორისო სამართლის დამკვიდრებული პრინციპია, რომ მოსამართლეს შეუძლია დაეყრდნოს ერთი მოწმის/მსხვერპლის ჩვენებას გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, მტკიცებულების გამყარების მოთხოვნის გარეშე.<sup>24</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საჭიროდ არ მიიჩნევს ერთზე მეტი მტკიცებულების არსებობას სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო მიუთითებს, რომ *„როდესაც საკმარისად ძლიერი მტკიცებულებაა წარმოდგენილი და არ არსებობს ამ მტკიცებულების უტყუარობის რისკი, მისი სხვა მტკიცებულებით გამყარების საჭიროება, შესაბამისად, არის დაბალი.“*<sup>25</sup>

საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC) მოსაზრებით, ირიბი ჩვენება აპრიორი საქმისთვის ღირებულებით წონას არ ნიშნავს.

ქორწინების იძულებასთან მიმართებით მიღებულ იქნა 15 განაჩენი. მათ შორის, პროკურორის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებული განაჩენი უცვლელად დარჩა 10 შემთხვევაში; საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 2 შემთხვევაში, სრულად დაკმაყოფილდა 1 შემთხვევაში. რაც შეეხება მსჯავრდებულისა და მისი ინტერესების დამცველის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრებულ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში იგი უცვლელად დარჩა 3 შემთხვევაში, ხოლო 1 შემთხვევაში საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. **შენიშვნა:** სტატისტიკური მონაცემები აღემატება განაჩენთა მთლიან რაოდენობას, რადგან 2 განაჩენში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენი ორივე მხარეს ჰქონდა გასაჩივრებული, როგორც ბრალდების მხარეს, ისე მსჯავრდებულსა და მისი ინტერესების დამცველს.

<sup>21</sup>CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 33, აბზაცი 51 (თ).

<sup>22</sup>CEDAW, ზოგადი რეკომენდაცია 33, აბზაცი 15 (ზ).

<sup>23</sup>სტამბოლის კონვენცია, მუხლი 54.

<sup>24</sup>იუგოსლავიის ტრიბუნალის პრეცედენტული სამართალი, იხ.: Haradinaj et al., Appeal Judgment, § 145; Tadic, Appeal Judgment, § 65; Bagilishema, Appeal Judgment, § 79; Dragomir Milosevic, Appeal Judgment, § 215; Kupreskic, Appeal Judgment, § 220; Lukic & Lukic, Appeal Judgment, § 375.

<sup>25</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეები: Khan v. the United Kingdom, no. 35394/97, ECtHR, 12.05.2000, § 35-37; Allen v. the United Kingdom, no. 25424/09, ECtHR, 12.07.2003, § 43, Bykov v. Russia, no. 4378/02, ECtHR, 10.03.2009, § 90; Haxhia v. Albania, no. 29861/03, ECtHR, 8.10.2013, § 129.

ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სახის მტკიცებულების შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ ირიბ ჩვენებას, შესაძლოა, ნაკლები წონა ჰქონდეს, საბოლოოდ, მისი შეფასება დამოკიდებული უნდა იყოს სხვადასხვა გარემოებაზე, რომელიც მას უკავშირდება.<sup>26</sup>

ირიბი ჩვენების შეფასება უნდა მოხდეს სასამართლო პროცესზე და იგი ავტომატურად არ უნდა გამოირიცხოს საქმიდან. Ad hoc ტრიბუნალებში ირიბი ჩვენება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ის საქმისთვის რელევანტური და ღირებულია. ტრიბუნალებს აქვთ დისკრეტია, მიიღონ და მიღების შემთხვევაში დაეყრდნონ ირიბ ჩვენებას.<sup>27</sup>

## 2. საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ (მუხლი 31).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას (მუხლი 13.2). მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (მუხლი 82.2) და იგი უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით (მუხლი 82.1).

## 3. პრაქტიკა

საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკის თანახმად, სასამართლოე-

ბი არაერთგვაროვნად განმარტავენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებულ ჩანაწერს - გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად მტკიცებულებათა ერთობლიობის აუცილებლობასთან დაკავშირებით, თუმცა ცალსახაა, რომ განაჩენების უმრავლესობაში „მტკიცებულებათა ერთობლიობაში“ მოიაზრება მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობის აუცილებლობა, იმისთვის, რათა საქმეზე დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი.<sup>28</sup> მაგალითად, ერთერთ გამამართლებელ განაჩენში სასამართლო პირდაპირ მიუთითებს, რომ „დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე პირის მსჯავრდებისთვის მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულება უნდა არსებობდეს, მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“.<sup>29</sup> გარდა ამისა, სასამართლომ დასძინა, რომ მითითებული სტანდარტიდან გამონაკლისი არ არის დასაშვები. „მაგალითად: საკითხის იმგვარად შეფასება და გადაწყვეტა, რომ რომელიმე კატეგორიის საქმეზე (მაგ.: ოჯახში ძალადობაზე ან თუ დაზარალებული არასრულწლოვანია) გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად დადგინდეს უფრო დაბალი მტკიცებულებითი სტანდარტი, ვიდრე ამას საქართველოს კონსტიტუცია და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოითხოვს, არსობრივად მცდარია“.<sup>30</sup>

## სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლთან მიმართებით არსებული პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში (2018-2022 წწ), პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი განაჩენების შესწავლის საფუძველზე, სახელმწიფო ბრალმდებელი 271 პირს ედავებოდა საქართველოს სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, სსკ-ს 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულის (ადევნების) ჩადენას. მათ შორის, სასამართლომ 33 პირი გაამართლა წარდგენილ ბრალდებაში:

<sup>26</sup>Prosecutor v. Bosco Ntaganda, Case No. ICC-01/04-02/06, 8.07.2019, § 67; Prosecutor v. Zlatko Aleksovski, Case No. IT-95-14/1-AR73, გადაწყვეტილება პროკურორის სააპელაციო საჩივარზე მტკიცებულების დასაშვებობის შესახებ, 16.02.1999, § 15.

<sup>27</sup>Prosecutor v. Bosco Ntaganda, Case No. ICC-01/04-02/06, 8.07.2019, § 67.


<sup>28</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის განაჩენი, საქმე №251აპ.-16, პუნქტი 29; 2016 წლის 9 თებერვლის განაჩენი, საქმე №453აპ.-15, პუნქტი 8 დასაქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენი, საქმე №561აპ.-15, პუნქტი 45.

<sup>29</sup>თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 17 ივნისის განაჩენი, საქმე №1/1767-19.

<sup>30</sup>იქვე.



## სტატისტიკური მონაცემები



ადევნების საქმეები, როგორც წესი, არ გამოირჩევა მტკიცებულებათა სიმწირით, თუმცა მათ შორის, პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება საკმაოდ რთულია; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაზარალებული იყენებს მისთვის მინიჭებულ საპროცესო უფლებას<sup>31</sup> და უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მის ახლო ნათესავს.

იმის გათვალისწინებით, რომ არის შემთხვევები, როდესაც ბრალდებულები წარდგენილ ბრალდებაში არ ცნობენ თავს დამნაშავედ, ხოლო მათი ოჯახის წევრები ჩვენებას არ აძლევენ ახლო ნათესავის წინააღმდეგ, სასამართლოს ხშირად შესაფასებლად რჩება მხოლოდ სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, მონმეთა ჩვენებები, რომლებიც ძირითადად არ არიან ფაქტის უშუალო შემსწრე პირები და ასევე, წერილობითი/ნივთიერი მტკიცებულებები, მათ შორის, ბრალდებულის მიერ მსხვერპლთან მიწერილი შეტყობინებები. აღნიშნული თემის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია სასამართლო პრაქტიკის მაგალითი:

ერთ-ერთ გამამართლებელ განაჩენში<sup>32</sup> ვკითხულობთ, რომ დაზარალებულმა არ მისცა ჩვენება ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ. იგივე უფლებით ისარგებლა დაზარალებულის დამაც, ხოლო ბრალდებულმა კატეგორიულად უარყო ბრალად წარდგენილი დანაშაულების ჩადენა. ამდენად, ისეთ ვითარებაში, როდეს-

აც კონფლიქტის მონაწილე პირებიდან ერთმა არ მისცა სასამართლოს ჩვენება, ხოლო მეორემ უარყო ბრალად წარდგენილი ქმედებების ჩადენა, სასამართლოს შესაფასებლად დარჩა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი იმ მონმეთა ჩვენებები, რომლებიც ირიბი სახის იყო. კერძოდ, დაზარალებულის დედის ჩვენება - რომელმაც აღნიშნა, რომ იგი უშუალოდ არ შესწრებია მის შვილსა და ყოფილ სიძეს შორის რაიმე სახის კონფლიქტს, თუმცა ქალიშვილისგან იცოდა, რომ თანაცხოვრების პერიოდში მეუღლის მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა ეჭვიანობის ნიადაგზე ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ხოლო განქორწინების შემდეგ ადგილი ჰქონდა საცხოვრებელი კორპუსის ეზოში, უნივერსიტეტსა და იმ ადგილებში, სადაც დაზარალებული დადიოდა, დახვედრასა და თვალთვალს, რის გამოც მისი შვილი იყო შეშინებული; და ასევე, სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩამტარებელი პირის ჩვენება - რომელმაც სასამართლოს გააცნო დაზარალებულის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ბრალდებული მასზე ახდენდა ზეწოლას, ხვდებოდა, აშანტაჟებდა და ემუქრებოდა. ამასთან, იგი მუდმივად იყო დაძაბული, ჰქონდა საფრთხის შეგრძნება, რის გამოც შეიცვალა ცხოვრების წესი, თავისუფლად ვეღარ გადაადგილდებოდა იმის შიშით, რომ ყოფილი ქმარი დახვდებოდა, დაემუქრებოდა და შეურაცხყოფას მიაყენებდა.

<sup>31</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 49, ნაწილი 1, პუნქტი „დ“.

<sup>32</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 5 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/3575-19.

ზემოაღნიშნულის გაანალიზების შემდგომ, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები ემყარებოდა მხოლოდ ერთი წყაროდან - დაზარალებულისგან მიწოდებულ ინფორმაციას, რაც ვერ გადაიმოწმდა თავად პირველწყაროსთან, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნაკლებია აღნიშნული მტკიცებულებების სარწმუნოების ხარისხი და მტკიცებულებათა წონა. დამატებით, სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „*მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ის, რა დასკვნამდე მივიდა ექსპერტი დაზარალებულთან გასაუბრების დროს, არამედ უპირველეს ყოვლისა ის თუ რამდენად სწორი ინფორმაცია მიანოდა დაზარალებულმა ექსპერტს, ანუ ექსპერტისთვის მიწოდებული ინფორმაცია რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს*“.<sup>33</sup> სწორედ დაზარალებულის მიერ გამოძიებისთვის და მათ შორის, ექსპერტისათვის მიწოდებული ინფორმაციის ნამდვილობა ვერ იქნა დადასტურებული სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით. შესაბამისად, არცერთი პირდაპირი მტკიცებულების არ არსებობის საფუძველზე, სასამართლომ ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენები ცხადყოფს, რომ მნიშვნელოვანია ბრალდების მხარე მეტი ძალისხმევით მოიპოვებდეს და კრებდეს მტკიცებულებებს, რომლებიც დაადასტურებს წარდგენილ ბრალდებას, რათა იგი არ იყოს დამოკიდებული პროცესის მონაწილეების მიერ მოწმის იმუნიტეტის გამოყენებაზე - ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობაზე.

გარდა ამისა, საინტერესოა კიდევ ერთი გამამართლებელი განაჩენის გაანალიზება,<sup>34</sup> რადგან მასში სასამართლომ სიღრმისეულად შეაფასა პროკურორის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები საქართველოს სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლის შემადგენლობის ქრილში და გარკვეული მტკიცებულებები

სადავო ნორმის ფარგლებში არარელევანტურად მიიჩნია. კერძოდ:

ბრალდების არსის მიხედვით, ბრალდებული-სათვის მეუღლესთან განქორწინება მიუღებელი აღმოჩნდა, რის შემდეგაც იგი განუწყვეტილ ახორციელებდა ყოფილი მეუღლის ადევნებას.

ბრალდებულს ბრალად ედებოდა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ უკანონო თვალთვალი, არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის თუ სხვა ელექტრონული საშუალებით, რომელიც სისტემატურად ხორციელდება და ინვესტაციის დასაბრუნების გამოყენების საფუძველიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნის.

ქმედების სამართლებრივი აღწერისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ადევნების შემადგენლობა მატერიალურია და შესაბამისად, დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის აუცილებელია სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლის დისპოზიციაში ჩამოთვლილ ქმედებათაგან ერთ-ერთის განხორციელება, რომელიც მსხვერპლში გამოიწვევს ფსიქიკურ ტანჯვას ან/და ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძველიან შიშს, რაც თავის მხრივ, მსხვერპლს უნდა აიძულებდეს მნიშვნელოვნად შეიცვალოს ცხოვრების წესი ან უქმნიდეს მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას. თუ სამივე ზემოაღნიშნული კომპონენტი არაა სახეზე, არც ამ დანაშაულის შემადგენლობა იარსებებს.

სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქმეში ბრალდების მხარემ ვერ წარადგინა უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებოდა ბრალდებულის მიერ ადევნების განხორციელება. კერძოდ: 1. სასამართლოს სხდომაზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებითა და საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურებოდა ბრალდებულის მიერ დაზარა-

<sup>33</sup> იქვე.

<sup>34</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 13 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/286-18. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2019 წლის 4 მარტის განაჩენით, საქმე №1/ბ-83-2019 უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი განაჩენი.

ლებულის უკანონო თვალთვალი და მასთან ელექტრონული საშუალებით კომუნიკაციის დამყარების ფაქტი. გამოკვლეული მტკიცებულებებით დასტურდებოდა მხოლოდ ის, რომ ბრალდებული სისტემატურად, უკანონოდ ამყარებდა დაზარალებულთან მისთვის არასასურველ კომუნიკაციას, როგორც პირადად, ასევე ტელეფონის მეშვეობით; თუმცა გამოკვლეული მტკიცებულებები არ მიუთითებდა ბრალდებულის მიერ დაზარალებულის თვალთვალზე. ამდენად, უკანონო თვალთვალი სასამართლომ ამორიცხა წარდგენილი ბრალდებიდან ისევე, როგორც ელექტრონული საშუალებით კომუნიკაციის დამყარება, ვინაიდან ტელეფონის გარდა სხვა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ბრალდებულის კომუნიკაცია მსხვერპლთან საქმის მასალებით არ იკვეთებოდა. შესაბამისად, გამოიკვეთა კომუნიკაციის მხოლოდ ორი საშუალება - პირადი შეხვედრები და მობილური საშუალებით კომუნიკაცია. მიუხედავად ამისა, 2. საქმეში არ იყო წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი რაიმე პირდაპირი მტკიცებულება, რომ ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედებები, რაც გამოიხატებოდა დაზარალებულის სამუშაო ადგილზე მიკითხვასა და მასთან მობილური ტელეფონის მეშვეობით კომუნიკაციის დამყარებაში, მსხვერპლში იწვევდა მისი მხრიდან ძალადობის გამოყენების შიშს. ამასთან, დაზარალებულმა სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას ისარგებლა მონმისთვის მინიჭებული უფლებით და არ მისცა ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელდა მის ყოფილ მეუღლეს, ხოლო სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულზე განხორციელებული ქმედებები შეიცავდა შეურაცხყოფის, დამცირების და მუქარის ელემენტებს, თუმცა კლინიკური გასაუბრებისას მოპოვებული მონაცემებით დაზარალებულის ფსიქოლოგიური პორტრეტის გათვალისწინებით, აღნიშნული ქმედებები არ აღწევდა ფსიქოლოგიური ტანჯვის ხარისხს. 3. რაც შეეხება ცხოვრების წესის შეცვლას, სასამართლომ განმარტება, რომ სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლის შემადგენლობისათვის აუცილებე-

ლია ცხოვრების წესის შეცვლის რეალური საჭიროება გამომდინარეობდეს ძალადობის შიშისგან, ხოლო სხვა მიზეზებით ცხოვრების წესის შეცვლა არ იძლევა სადავო ნორმის შემადგენლობას. ვინაიდან, ძალადობის შიშის არსებობა არ დადასტურდა, თავისთავად შეუძლებელია ამ მიზეზით ცხოვრების წესის შეცვლაზე საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ მონმეთა ჩვენებების მიხედვით, დაზარალებულის საზღვარგარეთ წასვლა ბრალდებულთან კონფლიქტური ურთიერთობით იყო გამოწვეული, რაც ბუნებრივია უკავშირდებოდა მისი ცხოვრების წესის მნიშვნელოვან ცვლილებას, სასამართლომ გამოკვლეული მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა, რომ ამის საჭიროება მას ბრალდებულის მხრიდან ძალადობის გამოყენების შიშმა შეუქმნა. რის გამოც, აღნიშნული გარემოება სასამართლომ განსახილველი საქმის ფარგლებში არარელევანტურად მიიჩნია, დაბოლოს, 4. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით ბრალდებულის ქმედება დაკვალიფიცირებულ იქნა სსკ-ს 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლის 1-ელი ნაწილით, რაც გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებულ ქმედებას, იმ პირობებში, როცა ბრალდებულის მიერ დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება არ დადასტურდა, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი სტატუსის გარკვევა სასამართლომ არარელევანტურად მიიჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ბრალდებული ორივე ინსტანციის სასამართლომ წარდგენილ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნო.

ადვენებასთან მიმართებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2020 წლის 17 მარტს დაადგინა გამამართლებელი განაჩენი,<sup>35</sup> რომელიც დაეფუძნა შემდეგ მსჯელობას: გამამტყუნებელი განაჩენი არ შეიძლება ეყრდნობოდეს ირიბ ჩვენებებს. პირს ვერ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედებისთვის, რომელიც მისი ჩადენის დროს არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებას;

<sup>35</sup> ისაქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 17 მარტის განაჩენი, საქმე № 2კ-725აპ.-19.

პირის ბრალეულობა დადასტურებული უნდა იყოს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით; ქმედების ადევნებად კვალიფიკაციისთვის არ არის საკმარისი დაზარალებულის მიერ ბრალდებულის ქმედებით დისკომფორტის განცდა. პალატამ მიუთითა, რომ „ფსიქიკური ტანჯვა არ შეიძლება იყოს ერთჯერადად, დროის მცირე მონაკვეთში განცდილი დისკომფორტი, იგი არის დროის ხანგრძლივ პერიოდში მიმდინარე პროცესი, რაც შეიძლება გამოიხატოს გამუდმებული ფიქრით, შიშით მღელვარებით, უძილობით და ა.შ.<sup>36</sup>

განსახილველი თემის ფარგლებში, საყურადღებოა, 2022 წლის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) მიერ საქართველოს საბაზისო შეფასება,<sup>37</sup> რომლის თანახმადაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ადევნების მუხლის ფორმულირება ამჟამად არ შეესაბამება სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს. კერძოდ, მუხლის ფორმულირება უფრო ვიწროა, ვიდრე ეს კონვენციით არის განსაზღვრული - იგი მსხვერპლისგან მოითხოვს ცხოვრების წესის მნიშვნელოვან ცვლილებას, ან ასეთი ცვლილების საფრთხის რეალური საჭიროების შექმნას. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრული ადევნება მოძალადის ნაცვლად მსხვერპლის ქმედებაზე აკეთებს აქცენტს (აბზაცი 241). GREVIO-ს თანახმად, აღნიშნულს შეიძლება შედეგად მოჰყვეს მტკიცების ტვირთის მსხვერპლზე გადატანა და მსხვერპლისთვის მოთხოვნა წარმოადგინოს მტკიცებულებები ადევნების შედეგად ცხოვრების წესის შეცვლის დასადასტურებლად. ამასთან, ტერმინი „მნიშვნელოვნად“ არ არის განსაზღვრული კანონმდებლობაში, რაც იწვევს სასამართლოს მიერ მის არაერთგვაროვან განმარტებას (აბზაცი 241). გარდა ამისა, GREVIO-ს შეფასებით, იკვეთება, რომ მსხვერპლის „ფსიქიკური ტანჯვა“ ძალიან მაღალ მოთხოვნას აწესებს იმისათვის, რომ აღნიშნული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობა

დადგეს (აბზაცი 241).

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, GREVIO-მ საქართველოს ხაზგასმით მოუწოდა - მოახდინოს საკანონმდებლო ცვლილებების და სხვა ზომების ინიცირება, რათა შეცვალოს ადევნების დეფინიცია სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად. კერძოდ, ადევნების მუხლიდან ამოღებულ იქნას ცხოვრების წესის ცვლილებების მოთხოვნა და გააუქმოს დამნაშავეთა პასუხისმგებლობის დაყენებისთვის არსებული მაღალი ზღვარი (აბზაცი 246).

აღნიშნული თემის კვალდაკვალ, დადებითად და პროგრესულად უნდა შეფასდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი ის განაჩენები, რომლებშიც მოსამართლეები ფსიქიკური ტანჯვის უტყუარობის დასადასტურებლად იმპერატიულად არ მოითხოვენ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ადევნების ფაქტი შესაბამისი რეაგირების გარეშე დარჩეს.<sup>38</sup> თემის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია ამონარიდი სასამართლო პრაქტიკიდან:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „იმისათვის, რომ დადგინდეს, პირის ქმედებებმა გამოიწვია თუ არა დაზარალებულის ტანჯვა, აუცილებელი არ არის ექსპერტიზის დასკვნის არსებობა და ეს საკითხი შესაფასებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზიდან გამომდინარე“.<sup>39</sup> წინამდებარე საქმეში, სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზარალებულისა და მონმეების ჩვენებებით დადგენილ იქნა, რომ მსხვერპლმა მოძალადის ქმედებების გამო შეიცვალა ცხოვრების წესი, ერიდებოდა მასთან შეხვედრას, პასუხის გასაცემად მობილურ ტელეფონს აწვდიდა თანამშრომელს, ეშინოდა სახლში მარტო წასვლა, იჩენდა განსაკუთრებულ სიფრთხი-

<sup>36</sup> იქვე. § 27.

<sup>37</sup> GREVIO Baseline Evaluation Report Georgia, იხ.: <https://rm.coe.int/grevio-report-on-georgia-2022/1680a917aa>

<sup>38</sup> მ. მითაიშვილი, „ადევნების კრიმინალიზაცია და მასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები“, იხ.: <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2021/06/32.-adamianis-uphlebatha-datsva-da-sakhelmtsiphos-demokratiuli-transphormatsia.pdf>, გვ. 196.

<sup>39</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 21 ივნისის განაჩენი, საქმე №1ბ/1592-20.



ლეს, იყო შეშინებული, უკიდურესად დაძაბული და სტრესულ მდგომარეობაში, რაც სრულად ადასტურებდა დაზარალებულის მიერ განცდილ ფსიქიკურ ტანჯვას. შესაბამისად, პალატამ არ გაიზიარა მსჯავრდებულისა და მისი ინტერესების დამცველის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან საქმეში არ მოიპოვებოდა ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, დაზარალებულის მიერ განცდილი ფსიქიკური ტანჯვა არ დასტურდებოდა.

ამასთან, ჯერ კიდევ 2019 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა ძალადობრივ დანაშაულთან მიმართებით (სსკ-ს 126-ე მუხლის 1<sup>2</sup> ნაწილი), საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ განაჩენში განმარტა, რომ *„სასურველი და უკეთესი იქნებოდა, თუკი ბრალდების მხარე დაზარალებულს ჩაუტარებდა ექსპერტიზას და წარმოადგენდა შესაბამის დასკვნას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, იმისთვის, რომ დადგინდეს პირის უკანონო ქმედებებმა გამოიწვია თუ არა დაზარალებულის ტანჯვა, აუცილებელი არ არის სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის არსებობა, ეს საკითხი წარმოადგენს სასამართლოს შეფასების საგანს - საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზიდან გამომდინარე“.*<sup>40</sup>

დაბოლოს, GREVIO-მ საქართველოს ხაზგასმით მოუწოდა - გააუმჯობესოს სტატისტიკური მონაცემების შეგროვება ადევნების შემთხვევების, მათ შორის, ადევნების ონლაინ განზომილების შესახებ. აღნიშნული ასევე მოიცავს იმ შემთხვევების აღრიცხვას, რომლებმაც მიაღწიეს სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლო განხილვის სტადიებს. GREVI-მ თავის შეფასებაში ასევე, ისაუბრა შესაბამისი პროფესიონალების გადამზადების მნიშვნელობაზე, აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით (აბზაცი 246).

### სსკ-ს 143-ე მუხლთან მიმართებით არსებული პრაქტიკა (ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთა)

საანგარიშო პერიოდში, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დამდგარი განაჩენების შესწავლის საფუძველზე, დადგინდა, რომ 2018-2022 წლებში 161 პირს მსჯავრი დაედო საქართველოს სსკ-ს 143-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო 3 პირი სასამართლომ წარდგენილ ბრალდებაში გაამართლა.

2018 წელს განხილული საქმეებიდან მხოლოდ ერთში დადგა გამამართლებელი განაჩენი.<sup>41</sup> წარდგენილ ბრალდებაში ორი პირი გამართლდა, რადგან სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა ერთ-ერთ ბრალდებულთან ქორწინების შემდგომ ისარგებლა მისთვის მინიჭებული საპროცესო უფლებით და არ მისცა ჩვენება ახლო ნათესავის წინააღმდეგ, ხოლო მეორე ბრალდებულთან მიმართებით აღნიშნა, რომ მისი ნების საწინააღმდეგოდ არ ჩაუსვამთ იგი ავტომობილში.<sup>42</sup> ამასთან, სასამართლო სხდომაზე დაიკითხნენ სხვა მონაწილეებიც, მათ შორის, სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ არ იყვნენ თვითმხილველნი იმ ფაქტისა თუ როგორ ჩასვეს არასრულწლოვანი ავტომობილში, ისინი იმეორებდნენ მხოლოდ დაზარალებულის მეგობრის (თვითმხილველის) გავრცელებულ ინფორმაციას, რომელმაც სასამართლო სხდომაზეც დაადასტურა, რომ მან გაავრცელა სკოლაში მოტაცების ფაქტი. შესაბამისად, აღნიშნულ მონაწილეთა ჩვენებები სასამართლომ მიიჩნია ირიბ ჩვენებებად. რაც შეეხება უშუალოდ ფაქტის შემსწრე მონაწილეთა ჩვენებებს, ისინი იყო წინააღმდეგობრივი, შეუსაბამო და განსხვავებულად აღწერდნენ საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებას - დაზარალებულის ავტომობილში მოხვედრის ფაქტს და ასევე მათი ჩვენებები წინააღმდეგობაში მოდიოდა მათ მიერ გამოძიებაში

<sup>40</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 5 აპრილის განაჩენი, საქმე №617აპ.-18, §14.  
<sup>41</sup> ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 10 ივლისის განაჩენი, საქმე №1/129-17 (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 ნოემბრის განაჩენით, საქმე №1ბ/1435-18, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი).  
<sup>42</sup> ბრალდების მხარის მიერ გამოქვეყნდა დაზარალებულის მიერ გამოძიებისას მიცემული ჩვენებები. პროკურორმა სასამართლო სხდომაზე მიცემულ ჩვენებასა და გამოძიებაში მიცემულ ჩვენებებს შორის არსებულ წინააღმდეგობასთან დაკავშირებით დაზარალებულს დაუსვა კითხვა თუ რით იყო აღნიშნული გამოწვეული, რაზეც დაზარალებულმა განმარტა, რომ *„ჩვენებებში მითითებული გარემოებები მას არ ახსოვდა“.*

მიცემულ ჩვენებებთან. შესაბამისად, სასამართლომ აღნიშნული ჩვენებები ვერ გაიზიარა, როგორც უტყუარი მტკიცებულებები. გარდა ამისა, კიდევ ერთი მოწმის ჩვენება აყენებდა ეჭვის ქვეშ იმ აზრს, რომ დაზარალებული მისი ნების საწინააღმდეგოდ იყო წაყვანილი. კერძოდ, მოწმის ჩვენებით ბრალდებულები მას დაზარალებულთან ერთად სახლში ესტუმრნენ (ხელჩაკიდებული), დარჩნენ საღამომდე, ივახშმეს, იცინეს და ღამით მან სტუმრები მამამისის სახლში წაიყვანა დასაძინებლად, თუმცა მას შემდეგ რაც მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები ისინი გაიქცნენ. აღნიშნულთან მიმართებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ, რომ მითითებული გარემოებით „სასამართლომ შეიძლება დაასკვნას, რომ იმ შემთხვევაში, თუკი დაზარალებული იქნებოდა მისი ნების საწინააღმდეგოდ წაყვანილი, ის არ გაიქცეოდა და პოლიციის თანამშრომლების მოსვლისთანავე მათთან მივიდოდა“.<sup>43</sup>

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით - გამოკვლეული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე სასამართლოსთვის უტყუარად ვერ იქნა დადგენილი ბრალდებულების მიერ თავისუფლების უკანონო აღკვეთის ჩადენა, რის საფუძველზეც ისინი გამართლდნენ.

რაც შეეხება, 2019 წელს დამდგარ გამამართლებელ განაჩენს,<sup>44</sup> რომელშიც ბრალდებული თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებაში (სსკ-ს 143-ე მუხლის 1-ელი ნაწილი) გამართლდა, საინტერესოა იმით, რომ სასამართლომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მიუსადაგა ადევნების შემადგენლობას და მასში ვერ დაინახა თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემადგენლობისთვის კანონმდებლის მიერ გათვალისწინებული სავალდებულო ნიშნების არსებობა. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალად წარდგენილი დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, რაც შეიძლება განხორციელდეს, როგორც მოქმედებით ისე უმოქმედობით. მისი დამთავრებულად ცნო-

ბისთვის არ არის საჭირო, ამ ქმედებას მოჰყვეს რაიმე მძიმე შედეგი. დანაშაული დამთავრებულია სხვა პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომენტიდან, შესაბამისად, სახეზეა ფორმალური შემადგენლობა. ამასთან, დანაშაული დენადია. მისი ჩადენა იწყება, როცა პირს ფაქტობრივად წართვეს გადაადგილების უფლება და შემდეგ უწყვეტად მიედინება, ვიდრე არ მოხდება მსხვერპლის გათავისუფლება. თავისუფლების უკანონო აღკვეთა შეიძლება განხორციელდეს ისეთი ძალადობის ან მუქარის გამოყენებით, რომელიც არაა საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის. სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული განზრახია, დაკავშირებულია პირის იძულებით დაკავებასთან, როდესაც მას ფაქტობრივად (ობიექტურად) წართმეული აქვს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა, რომლის ხანგრძლივობას ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს. ამასთან, ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ასევე, მისი ჩადენის ხერხსა და საშუალებას (გარდა სსკ-ს 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოებისა).

ზემოაღნიშნული ნორმის სამართლებრივი განმარტების შემდეგ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გამოკვლეული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერებისა და გაანალიზების შედეგად უტყუარად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და დადგენილად მიიჩნია, რომ ბრალდებულმა დაზარალებული სამი დღის განმავლობაში წაიყვანა ქალაქგარეთ ერთ-ერთ საოჯახო ტიპის სასტუმროში, რა დროსაც სისტემატურად ახორციელებდა მასზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, ცოლად გაყოლის პირობის სანაცვლოდ, თუმცა თავისუფლების უკანონო აღკვეთის ნიშნების არსებობაში სასამართლოს გაუჩნდა ეჭვი შემდეგი გარემოებების გაანალიზების საფუძველზე: 1. სასტუმროს ქვედა სართულზე ცხოვრობდა მე-პატრონის ოჯახი, რომლის ერთ-ერთ წევრს დაზარალებული გაესაუბრა და „*მიუხედავად იმისა, რომ ამისთვის არ იყო საჭირო ვრცელი საუბარი, მისთვის არც დახმარება უთხოვია და არც რაიმე მიუნიშნებია. აღნიშნულით სასამართლო რა თქმა*

<sup>43</sup> ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 10 ივლისის განაჩენი, საქმე №1/129-17 (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 ნოემბრის განაჩენით, საქმე №1ბ/1435-18, უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი).

<sup>44</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 10 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/2049-19.

უნდა, არ ამტკიცებს, რომ დაზარალებული თავისი ნება-სურვილით იმყოფებოდა იქ, თუმცა მისი პასიური ქმედება, სასამართლოს აზრით, გამოწვეულია სწორედ იმ ფაქტორით, რომ მისი თავისუფალი ნება დათრგუნული ჰქონდა ბრალდებულს და ფსიქოლოგიურად ძალადობდა მასზე, რაც ადევნების შემადგენლობის ნაწილია და არა თავისუფლების უკანონო აღკვეთის“; 2. ის ფაქტი, რომ დაზარალებულმა ვერ მიუთითა ჰქონდა თუ არა კარს საკეტი და იყო თუ არა გისოსები ფანჯარაზე, სასამართლოს აფიქრებინა, რომ „მას არათუ მცდელობა ჰქონდა, არამედ - არც უფიქრია, რომ თავი დაეღწია ბრალდებულისგან“; 3. ამასთან, ის გარემოება, რომ ბრალდებულის მხრიდან სასტუმროს დიასახლისთან ოთახის ქირაობის თაობაზე მოლაპარაკებების დროს, დაზარალებული რამდენიმე მეტრის მოშორებით მანქანაში იჯდა და მას მაშინაც კი არ უფიქრია გაქცევაზე, სასამართლოს ისევ და ისევ არწმუნებდა იმაში, რომ დაზარალებული ბრალდებულის მხრიდან ძლიერი ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.

დამატებით, სასამართლომ კვლავ მიუთითა იმაზე, რომ თავისუფლების უკანონო აღკვეთა დაკავშირებულია პირის იძულებით დაკავებასთან, როდესაც მას ფაქტობრივად (ობიექტურად) წართმეული აქვს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა, რაც წინამდებარე საქმეში სახეზე არ იყო: დაზარალებულის ჩვენების თანახმად, „როდესაც მიხვდა, რომ ბრალდებულს ქალაქგარეთ მიჰყავდა, არც კი გაუპროტესტებია აღნიშნული ავტომანქანის მძღოლთან და არ უთხოვია მისთვის უკან დაბრუნება“. გარდა ამისა, გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა იქნა ისიც, რომ ბრალდებულს დაზარალებულის მიმართ არ ჰქონია ის მომენტი, რომ არ დაეძინა და მუდმივად ედარაჯა მისთვის, რაც დასტურდებოდა დაზარალებულის დედის ჩვენებითაც, რომლის თანახმადაც, რაღაც მომენტში მან შვილს დაურეკა, რომელმაც უთხრა, რომ ს.ჩ-ს ეძინა და აღარ დაერეკა მისთვის.

შესაბამისად, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ: დაზარალებულმა ისიც კი არ იცოდა, ოთახის კარი იკეტებოდა თუ არა საკეტი და კარზე არსებული წინაღობა არ გამხდარა მისი თავი-

სუფალი გადაადგილების ხელშემშლელი ფაქტორი; დაზარალებულს ასევე ჰქონდა სასტუმროს მეპატრონესთან კომუნიკაციის შესაძლებლობა; არ იმყოფებოდა მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ და გადაადგილდებოდა კიდეც ქუჩაში ბრალდებულთან ერთად (მათ შორის, მაღაზიაში), სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული არ ქმნიდა თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემადგენლობას, რასაც ბრალდების მხარე ედავებოდა ბრალდებულს, თითქოს, დაზარალებულს აღუკვეთა თავისუფლება, ჩაკეტილი ჰყავდა საცხოვრებელ ბინაში და არ აძლევდა თავისუფლად გადაადგილების საშუალებას.

რამდენადაც დაზარალებულისგან მიღებულ ჩვენებაში სასამართლომ ვერ დაინახა თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის სავალდებულო ნიშნები, დეტალურად აღარ განიხილა ირიბ მოწმეთა ჩვენებები. თუმცა, სასამართლომ ყურადღება გამამხვილა იმ მოწმეთა ჩვენებებზე, რომლებმაც ნახეს დაზარალებული და ბრალდებული ერთად ქუჩაში და აღნიშნა, რომ მათი ჩვენებებით დასტურდებოდა ბრალდებულის მხრიდან არა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, არამედ ადევნების ფაქტი - ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ ყოფნა (სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულს თან ახლდა ბრალდებული, მას შეეძლო რაიმე ქმედითი ღონისძიების გატარება, როგორცაა ვინმეს საშველად მოხმობა). ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის მიერ დაზარალებულის წაყვანა და მასზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა (რაც ბრალდებულთან ურთიერთობაში დაზარალებულისთვის უცხო მდგომარეობას არ წარმოადგენდა), რა დროსაც მას არ ჰქონია წართმეული გადაადგილების შესაძლებლობა, ვინაიდან დაყოლილი იყო ბრალდებულის ნებას, ცალსახად ვერ იქნება განხილული თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან მიმართებით ბრალდებულის მიმართ წარდგენილი ბრალის მამტკიცებლად. შესაბამისად, ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

დაბოლოს, რაც შეეხება ქორწინების იძულების ბრალდებით გამართლებულ პირებს, აღნიშნული თემა განხილულია ქვემოთ მოცემულ თავში.



## II. სასჯელები და პასუხისმგებლობის

# შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები

### 1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დამნაშავეის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებზე,<sup>45</sup> რადგან მათი სწორი იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულები, ტრადიციულად, მიეკუთვნება კერძო სფეროს და ისტორიულად, ისინი ან საერთოდ არ მიიჩნეოდა დასჯად ქმედებად, ან მათი სიმძიმის იგნორირება ხდებოდა.<sup>46</sup>

ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ქალებისა და გოგოების მიმართ განხორციელებული ძალადობა თავისი ხასიათით ძირითადად გენდერულ ძალადობასთან არის დაკავშირებული, სახელმწიფოს ვალდებულება - უზრუნველყოს გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული პრაქტიკის აღმოფხვრა, არაერთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში გვხვდება, მათ შორის, გაეროს „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენცია მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს დაგმონ ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაცია და დაუყოვნებლივ, ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით გაატარონ დისკრიმინაციის აღმოფხვრის პოლიტიკა.<sup>47</sup> ამასთან, კონვენცია მხარეებს მოუწოდებს მიმართონ სათანადო ღონისძიებებს, რათა: ა) შეცვალონ კაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები ცრურწმენათა აღმოფხვრისა და ყველა იმ ჩვეულებისა და პრაქტიკის გაუ-

ქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უდევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ანდა კაცთა და ქალთა სტერეოტიპულობის იდეა; ბ) უზრუნველყონ, რომ ოჯახური აღზრდა მოიცავდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორად გაგებას და თავიანთი შვილების აღზრდისა და განათლებისათვის კაცთა და ქალთა საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას იმ პირობით, რომ ყველა შემთხვევაში უპირატესია ბავშვების ინტერესები.<sup>48</sup>

დამატებით, CEDAW კომიტეტი, 2017 წლის 26 ივლისის N°35 ზოგად რეკომენდაციაში, მიუთითებს, რომ ქალების უფლება, არ დაექვემდებარონ გენდერულ ძალადობას განუყოფელია ადამიანის სხვა უფლებებისგან და დაკავშირებულია მათთან, მათ შორის, სიცოცხლის უფლებასთან, ჯანმრთელობის უფლებასთან, ადამიანის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებასთან, ოჯახში თანასწორობისა და თანაბარი დაცვის უფლებასთან, ადამიანის უფლებასთან - არ დაექვემდებარონ წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ თუ ღირსების შემლახველ მოპყრობას და გამოხატვის, გადაადგილების, მონაწილეობის, შეკრებისა და გაერთიანების შექმნის თავისუფლებასთან.<sup>49</sup>

ქალთა მიმართ გენდერულ ძალადობას ადგილი აქვს ადამიანების ურთიერთობის ყველა სფეროში და ადგილას, საზოგადოებრივი იქნება ის თუ პირადი, მათ შორის, ოჯახში, თემში, საჯარო ადგილებში, სამუშაო ადგილას, დასვენების, პო-

<sup>45</sup> მაგალითად, იხილეთ Updated Model Strategies and Practical Measures on the Elimination of Violence against Women in the Field of Crime Prevention and Criminal Justice (the 'Updated Model Strategies'), adopted by the General Assembly under Resolution 65/228 (2010), § 17(b).

<sup>46</sup> თ. დეკანოსიძე, ნ. ჩიხლაძე, გ. ხარატიშვილი, „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში“, 2020, გვ. 39.

<sup>47</sup> გაეროს „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენცია, მუხლი 2.

<sup>48</sup> იქვე. მუხლი 5.

<sup>49</sup> CEDAW კომიტეტის 2017 წლის 26 ივლისის ზოგადი რეკომენდაცია N°35 ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ, რომელიც აახლებს N°19 ზოგად რეკომენდაციას, იხ.: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N17/231/54/PDF/N1723154.pdf?OpenElement>, § 15.



ლიტიკის, სპორტის, ჯანდაცვის მომსახურების განვითარების ადგილებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ასევე, საზოგადოებრივი და კერძო სფეროების ახალი განსაზღვრების საფუძველზე, ტექნოლოგიების გამოყენებით განპირობებულ კონტექსტებში, როგორც არის ძალადობის თანამედროვე ფორმები, რომლებიც ხდება ინტერნეტში და სხვა ციფრულ კონტექსტში.<sup>50</sup>

CEDAW კომიტეტი ზოგად რეკომენდაციაში სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებით აღნიშნავს, რომ მათ თავი უნდა შეიკავონ ქალთა მიმართ რაიმე დისკრიმინაციული აქტის ან მოქმედების ან გენდერული ძალადობის ჩადენისაგან, ზედმინევით უნდა გამოიყენონ სისხლის სამართლის ყველა დებულება, რომელიც ითვალისწინებს ამ სახის ძალადობის დასჯას, და უზრუნველყონ რომ ყველა სამართლებრივი პროცედურა ქალთა მიმართ სავარაუდო გენდერული ძალადობის შემთხვევებში იყოს მიუკერძოებელი, სამართლიანი და მათზე არ მოქმედებდეს გენდერული სტერეოტიპები ან სამართლებრივი ნორმების, მათ შორის, საერთაშორისო სამართლის ნორმების დისკრიმინაციული ინტერპრეტაცია.<sup>51</sup> კომიტეტის რეკომენდაციით, ქალებს უნდა ჰქონდეთ სასამართლოსა და ტრიბუნალებისადმი ეფექტური ხელმისაწვდომობა, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციულ საქმეებზე ადეკვატური რეაგირება, მათ შორის, სისხლის სამართლის და, საჭიროების შემთხვევაში, *ex officio* სამართლებრივი დევნის გამოყენების მეშვეობით ძალადობის სავარაუდო ჩამდენი პირების სასამართლოს წინაშე სამართლიანად, დროულად, მიუკერძოებლად და სწრაფად წარდგენის და მათზე ადეკვატური სანქციების დაკისრების მიზნით.<sup>52</sup>

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მიი-

ლოს ყველა საჭირო ზომა დამნაშავეს ქმედებაში შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთად. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ ძალადობრივ დანაშაულებში გამოძიებულ უნდა იქნეს დამნაშავეს ქმედებაში გენდერული დისკრიმინაციისა და სხვა ნიშნით განპირობებული დისკრიმინაციის მოტივი.<sup>53</sup> დისკრიმინაციული მოტივის მქონე დანაშაულის სხვა დანაშაულების მსგავსად განხილვა კი ნიშნავს „თვალის დახუჭვას იმ ქმედებების სპეციფიკური ხასიათის მიმართ, რომლებიც განსაკუთრებით არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს“.<sup>54</sup>

სტამბოლის კონვენცია მოუწოდებს მხარეებს, მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი გარემოებები, თუ ისინი უკვე არ წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ნაწილს, მოსამართლის მიერ სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში იქნეს მიღებული, როგორც დამნაშავეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები. თუმცა კონვენცია მოსამართლეებს არ ავალდებულებს მათ გამოყენებას, იგი მხოლოდ მიუთითებს მათთვის ამგვარი დამამძიმებელი გარემოებების ხელმისაწვდომობის აუცილებლობაზე.<sup>55</sup>

- დანაშაული ჩადენილი იყო ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობით, ოჯახის წევრის მიერ, მსხვერპლთან ერთად მცხოვრები პირის ან იმ პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება;
- დანაშაული ან მასთან დაკავშირებული დანაშაულები ჩადენილი იყო არაერთგზის;
- დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ, რომელიც, გარკვეული გარემოებების გამო, მონყვლადა;

<sup>50</sup> იქვე. § 20.

<sup>51</sup> იქვე. § 26.

<sup>52</sup> იქვე. § 32.

<sup>53</sup> Nachova v Bulgaria, § 160; BS v Spain, § 58;

<sup>54</sup> Identoba v Georgia, § 67; Tkheidze v Georgia, § 60; A and B v Georgia § 44.

<sup>55</sup> „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 34-ე მუხლი და მისი განმარტებითი ბარათი.

- დანაშაული ჩადენილი იყო ორი ან მეტი ადამიანის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ერთობლივად;
- დანაშაულს წინ უსწრებდა ან თან სდევდა უკიდურესად მაღალი დონის ძალადობა;
- დანაშაული ჩადენილი იყო იარაღით ან იარაღის მუქარის გამოყენებით;
- დანაშაულმა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა მსხვერპლს;
- დამნაშავე ადრეც ყოფილა ნასამართლევი მსგავსი ხასიათის დანაშაულისთვის.

რაც შეეხება დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, სტამბოლის კონვენციის თანახმად (მუხლი 42.1), ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი აქტის ჩადენასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის პროცესის დროს კულტურა, ადათ-წესები, რელიგია, ტრადიციები ან ეგრეთ წოდებული „ღირსების საკითხი“ არ უნდა მიიჩნეოდეს ასეთი აქტების გამართლების მიზეზად.

ამასთან, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, არ არის მიზანშეწონილი დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნეულ იქნეს:<sup>56</sup>

- ბრალდებულის ნასამართლობის არქონა (ვინაიდან გენდერული ძალადობა განმეორებადია და სამართალდამცავ ორგანოებთან დამნაშავის პირველი შეხება არ ნიშნავს პირველად ჩადენილ ფაქტს);
- ბრალდებულის კარგი დახასიათება ან კარგი რეპუტაცია (გენდერული ძალადობის ჩამდენი ხშირად საზოგადოებაში კარგი რეპუტაციით სარგებლობს და შეუძლია სწორედ ეს რეპუტაცია გამოიყენოს პასუხისმგებლობისგან თავის ასარიდებლად);

- ბრალდებულის მიერ დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდა/შერიგება;
- ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის ქორწინება;
- მსხვერპლის ოჯახის მიერ მოძალადის პატიება;
- მსხვერპლის მორალურ მხარეზე ან ცხოვრების სტილზე მითითება;
- ეჭვიანობა ან შურისძიება ეჭვიანობის გამო;
- დაზარალებულმა „თავად გამოიწვია“ დამნაშავე; დაზარალებულის მიერ „პროვოკაცია“ და „მანიპულაციური ქცევა“;
- სასამართლოს წინაშე ბრალდებულის სათანადო ქცევა;
- ბრალდებულის მხრიდან დანაშაულის აღიარება და ჩადენილი ქმედების სინანული;
- ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა.

## 2. საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, უმეტესწილად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს დამნაშავის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებების კუთხით. ამასთან, სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობა დამნაშავის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებად არ ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როგორცაა დანაშაულის ჩადენა ოჯახურ ვითარებაში, ღირსების სახელით, მსხვერპლის მორალური თვისებების ან დამნაშავის და მსხვერპლის ურთიერთობის კონკრეტული ფაქტების გათვალისწინებით.<sup>57</sup>

<sup>56</sup> თ. დეკანოსიძე, ნ. ჩიხლაძე, გ. ხარატიშვილი, „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში“, 2020, გვ. 40; ასევე იხ.: [https://www.unodc.org/pdf/criminal\\_justice/HB\\_for\\_the\\_judiciary\\_on\\_Effective\\_Criminal\\_Justice\\_Women\\_and\\_Girls\\_E\\_ebook.pdf?fbclid=IwAR093f08-y9HQII\\_aYSU3ZvmYIIMHT2dWPOGCYszLgm20yaF4t8E\\_oqhzs](https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/HB_for_the_judiciary_on_Effective_Criminal_Justice_Women_and_Girls_E_ebook.pdf?fbclid=IwAR093f08-y9HQII_aYSU3ZvmYIIMHT2dWPOGCYszLgm20yaF4t8E_oqhzs) გვ. 116.

<sup>57</sup> თ. დეკანოსიძე, ნ. ჩიხლაძე, გ. ხარატიშვილი, „ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში“, 2020, გვ. 42.

სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლებიც სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სასჯელის დანიშვნის დროს. კერძოდ, სასამართლო ითვალისწინებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს: დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, დამნაშავეს წარსულ ცხოვრებას, პირად და ეკონომიკურ პირობებს, ყოფაქცევას ქმედების შემდეგ, განსაკუთრებით – მის მისწრაფებას, აანაზღაუროს ზიანი, შეურიგდეს დაზარალებულს. მითითებული გარემოებები ვრცელდება ყველა სახის დანაშაულზე.

ამასთან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ჩადენას, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, მიიჩნევს დამნაშავეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად. კერძოდ, 53<sup>1</sup> მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად: *დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან ნოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის.*

აღნიშნული მუხლი მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელი სულ მცირე, ერთი წლით უნდა აღემატებოდეს ამ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ზომას.<sup>58</sup>

<sup>58</sup> სასჯელის დანიშვნისას მხედველობაში არ მიიღება სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლი, თუ სსკ-ს კერძო ნაწილის მუხლში ან მუხლის ნაწილში მითითებულია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, მათ შორის, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი.

<sup>59</sup> გ.ხატიაშვილი, სახელმძღვანელო ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, 2021, გვ. 53.

გარდა ამისა, სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი სასჯელის დამამძიმებელ გარემოებებად მიიჩნევს დანაშაულის ჩადენას: *ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვანის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.*

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ სტამბოლის კონვენციის სარატიფიკაციო პროცედურების პერიოდში, 2012 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის საფუძველზეც ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის ცალკეული მუხლებით (მათ შორის, ადევნებისთვის და ქორწინების იძულებისთვის) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა განიხილება ოჯახურ დანაშაულად. შესაბამისად, ოჯახური დანაშაულისათვის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup> მუხლზე მითითებით. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებით მართლმსაჯულების ორგანოებს მიეცათ საშუალება, ზუსტად და კონკრეტულად განსაზღვრონ, რომელი შემთხვევაა და რომელ ვითარებაში უნდა მიანიჭონ კონკრეტულ ქმედებას ოჯახური დანაშაულის კვალიფიკაცია.<sup>59</sup>

რაც შეეხება ბრალის გამომრიცხავ და შემამსუბუქებელ გარემოებებს, საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შემდეგს:

- შეურაცხაობა ასაკის გამო;
- შეურაცხაობა ფსიქიკური დაავადების გამო;
- შეზღუდული შერაცხადობა;
- შეცდომა;
- ბრძანების ან განკარგულების შესრულება;
- სხვა არაბრალეული ქმედება.

### 3. პრაქტიკა

#### 3.1. დამამძიმებელი გარემოებები

ბოლო წლების განმავლობაში სასამართლო სისტემისთვის გამოწვევაა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის გამოყენება და მის საფუძველზე სასჯელის განსაზღვრა. თუმცა, პროგრესი ამ კუთხით ნამდვილად შეიმჩნევა. კერძოდ, სტატისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, წლიდან წლამდე იზრდება სასამართლოების მიერ აღნიშნული მუხლის გამოყენების მაჩვენებელი, განსაკუთრებით კი მისასაღმებელია ბოლო წლების განაჩენებში გაკეთებული განმარტებები დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენასთან დაკავშირებით. კერძოდ, ცალკეულ განაჩენებში მოსამართლეები საერთაშორისო დოკუმენტებისა და განმარტებების შესაბამისად სიღრმისეულად ასაბუთებენ დანაშაულის გენდერის მოტივით ჩადენას და არ შემოიფარგლებიან მხოლოდ კანონმდებლობის ჩანაწერით.

გარდა ამისა, სასამართლოების მიერ დამნაშავეებისათვის სასჯელის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება ისეთი დამამძიმებელი გარემოებები, როგორცაა: პირის ნასამართლობა და ახალი განზრახვი დანაშაულის ჩადენა პირობითი მსჯავრის პერიოდში. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, სასამართლომ დამნაშავესთან მიმართებით აღნიშნა, რომ *„მართალია იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილს, თუმცა საგულისხმოა ის გარემოება, რომ დაკავებისას მან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს გაუწია წინააღმდეგობა და სცადა მიმალვა. ამასთან, იგი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს იყო პირობითი მსჯავრის ქვეშ, ოჯახური დანაშაულისთვის და მასზე ხორციელდებოდა პრობაციის სამსახურის მიერ შესაბამისი კონტროლი და დახმარება, აღნიშნული კი მიუთითებს ბრალდებულის საზოგადოებრივ საშიშროებაზე და ნების სიმტკიცის დაბალ ხასიათზე“*.<sup>60</sup> ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში სასამართლოების მხრიდან ყურადღება მახვილდება ქმედების საზოგადოებრივ საშიშროებაზე, როგორც ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებაზე, რაც ამგვარი ტიპის დანაშაულებისთვის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს.

გარკვეულ შემთხვევებში, სასჯელის განსაზღვრისას, განაჩენების ტექსტში არ იკითხება, სასამართლოს მიერ მხედველობაში იქნა თუ არა მიღებული ძალადობის ისეთი წინარე ისტორია, როგორცაა ბრალდებულის მიმართ გაცემული შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერი. თუმცა, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლოს მხრიდან, დამნაშავის პიროვნული მახასიათებლებისა და ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე, კონკრეტული საფრთხეების შეფასებისას, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს საქმეში არსებულ ძალადობის ისეთ წინარე ისტორიაზე, როგორცაა შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერი და შესაბამისად, მიზანშეწონილია განაჩენის სამოტივაციო ნაწილში აისახოს მათზე ფართო მსჯელობა, რადგან სასამართლოს მხრიდან ძალადობის სისტემატურობასა და განგრძობადობაზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამომავლო ძალადობის პრევენციისათვის, რადგან ერთი პირის მიერ ძალადობრივი აქტის განმეორება მომეტებულ რისკებთან არის დაკავშირებული. აღნიშნული თემის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოყვანილია სასამართლო პრაქტიკის მაგალითი:

ერთ-ერთ საქმეში<sup>61</sup> დადგენილ იქნა, რომ ბრალდებული და დაზარალებული დაახლოებით 13 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ რეგისტრირებულ ქორწინებაში და ცხოვრობდნენ ერთად, თუმცა შემდეგ ისინი განქორწინდნენ, რაც მიუღებელი აღმოჩნდა ბრალდებულისთვის და დაზარალებულს სთხოვდა შერიგებას და თანაცხოვრების გაგრძელებას, რაზეც ეს უკანასკნელი არ თანხმდებოდა. განქორწინების შემდეგ ბრალდებული სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას თავის ყოფილ მეუღლეს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბრალდებულის მიმართ ორჯერ იყო გამოცემული შემაკავებელი ორდერი, რომლითაც მას აეკრძალა ყოფილ მეუღლესთან მიახლოება და კომუნიკაცია. თუმცა, შემაკავებელი ორდერების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ბრალდე-

<sup>60</sup> ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 11 ივლისის განაჩენი, საქმე №1/152-2018.

<sup>61</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/4041-19.



ბული კვლავ აგრძელებდა სისტემატურ ქმედებებს და არასასურველ კომუნიკაციას მსხვერპლთან, რაც მის ფსიქოლოგიურ სტრესსა და ცხოვრების წესის შეცვლას იწვევდა (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ს 11'-151' მუხლის 1-ელი ნაწილით); ამასთან, ბრალდებული დაზარალებულს რამდენჯერმე დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით, როგორც პირადად, ისე სხვა პირის - ყოფილი სიდედრის მეშვეობით. აღნიშნულით, დაზარალებულმა განიცადა ძალადობის განხორციელების საფუძვლიანი შიში (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ს 11'-151'-ე მუხლის 1-ელი ნაწილით). გარდა ამისა, ბრალდებული მივიდა დაზარალებულის სამუშაო ადგილზე და როდესაც ამ უკანასკნელმა სცადა მისთვის თავის არიდება, დაედევნა მას, მოკვლით დაემუქრა და თავზე ძლიერად დაარტყა ხელი, რითაც მსხვერპლმა განიცადა ფიზიკური ტკივილი (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ს 126' მუხლით). დაზარალებული გაიქცა და შევიდა იქვე მდებარე პოლიციის განყოფილებაში, სადაც მას შეჰყვა ყოფილი მეუღლე, რომელმაც პოლიციის თანდასწრებით კვლავ გააგრძელა მუქარა, ცდილობდა ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას. შედეგად, იგი დაკავებულ იქნა ბრალდებულის სახით.

წინამდებარე საქმის განხილვის შემდგომ სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახეზე იყო გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა პირის დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

სასჯელის განსაზღვრისას, სასამართლომ დამნაშავის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებასთან ერთად - დანაშაული ჩადენილი ოჯახის წევრის მიმართ, მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დამნაშავემ აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, არაა ნასამართლევი და მას ბრალად ედება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულების ჩადენა, აქვს მძიმე ეკონომიკური და ოჯახური მდგომარეობა, რის საფუძველზეც სასამართლომ მიიჩნია, რომ დამნაშავეს საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის

სახედ და ზომად უნდა განსაზღვროდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც შემდგომ მსჯავრდებულს ჩაეთვალა პირობითად 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

გამამტყუნებელი განაჩენის მიუხედავად, სასჯელის დანაშაულებთან ადეკვატურობისა და ეფექტურობის თვალსაზრისით, სასურველი იქნებოდა განაჩენში მეტად იკითხებოდეს სასამართლოს მიდგომა, თუ რატომ არ იქნა მსჯავრდებული საზოგადოებისგან იზოლირებული, თუნდაც მცირე პერიოდით. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმეში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები მიუთითებდნენ დამნაშავის ძალადობისკენ მიდრეკილებაზე. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა, მოძალადის მიმართ გამოცემული იყო ორი შემაკავებელი ორდერი რომლითაც მას ეკრძალებოდა ყოფილ მეუღლესთან მიახლოება და კომუნიკაცია, თუმცა შემაკავებელი ორდერების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ იგი კვლავ აგრძელებდა სისტემატურ ქმედებებს და არასასურველ კომუნიკაციას მსხვერპლთან, რაც მიუთითებს ძალადობრივი აქტის განმეორების მომეტებულ რისკებზე. ამასთან, ის ფაქტი, რომ მოძალადე სამართალდამცავების თანდასწრებითაც კი არ მოერიდა დაზარალებულის წინააღმდეგ მუქარას და ცდილობდა მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას, მიუთითებს იმაზე, რომ იგი ვერ აკონტროლებს თავის რისხვას, რომელიც მიმართულია ყოფილი მეუღლის წინააღმდეგ.

რაც შეეხება დანაშაულის ჩადენას: დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ და არაერთგზის - იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150', 151' და 143-ე მუხლებში მითითებულია ორივე მათგანი, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი, სასამართლო დამატებით აღარ აპელირებს მასზე, როგორც დამნაშავის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაზე, რაც მართებულია.

ამასთან, სამომავლო რისკების შეფასების კუთხით და მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია სასამართლოს მხრიდან ჯეროვანი ყურადღება დაეთმოს ინფორ-

მაციას იმის შესახებ, ფლობენ თუ არა ან ხელი მიუწვდებოდათ თუ არა ცეცხლსასროლ იარაღზე ძალადობის განმხორციელებელ პირებს, რადგან სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად: „*დამნაშავეთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა არა მხოლოდ ძალის დემონსტრირებისა და მსხვერპლზე კონტროლის საშუალებაა, არამედ აღნიშნული ზრდის მკვლევლობის რისკსაც*“.<sup>62</sup> კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენების თანახმად, 2018-2022 წლებში, იარაღთან დაკავშირებული უფლებები შეეზღუდა 24 პირს, მათ შორის, ადევნებისთვის მსჯავრდებულ 22 პირს, ქორწინების იძულებისთვის მსჯავრდებულ 1 პირს და ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის მსჯავრდებულ 1 პირს. განაჩენებში სასურველია ფართოდ იკითხებოდეს დამატებითი სასჯელის გამოყენების წინაპირობები.

დაბოლოს, კვლევის ფარგლებში შესწავლილ ერთ-ერთ განაჩენში<sup>63</sup> სასამართლომ დადგინდად მიიჩნია, რომ ადევნება ჩადენილ იქნა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. კერძოდ, წინამდებარე საქმეში კაცისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ქალის მხრიდან სასიყვარულო ურთიერთობის დასრულება, რის შემდეგაც, შერიგების მიზნით, სისტემატურად ურეკავდა მას და ემუქრებოდა პირადი ცხოვრების საიდუმლოების გავრცელებით.

აღნიშნული საქმე მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც, კაცი, რომელიც ახორციელებდა ადევნებას, იყო ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელი, კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, რომელსაც ჰქონდა წვდომა შსს-ს საინფორმაციო პორტალზე, რომლის გამოყენებითაც მან მოიძია დაზარალებულთან კავშირში მყოფი პიროვნებები (ახლობლები), რომლებსაც მეგობრებთან ერთად ხვდებოდა და უყვებოდა დაზარალებულის პირადი

ციცხვებისა და ინტიმური ურთიერთობების შესახებ, რაც მიზნად ისახავდა ქალის დისკრედიტაციას. შედეგად, დაზარალებული განიცდიდა ფსიქიკურ ტანჯვას. ამასთან, იგი იძულებული გახდა მიეტოვებინა სამსახური და შეეცვალა საცხოვრებელი ადგილი, რამაც მისი მდგომარეობა მკვეთრად გააუარესა.

სასამართლომ მხარეთა უშუალო მონაწილეობით განიხილა საქმე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახეზე იყო გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის. თუმცა, გამამტყუნებელი განაჩენის მიუხედავად, პრობლემურია დანიშნული სასჯელის - ვადიანი თავისუფლების აღკვეთის სრულად პირობითად ჩათვლის, თანაზომიერებისა და პროპორციულობის საკითხი დამნაშავეს პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის გათვალისწინებით.<sup>64</sup> მართალია მსჯავრდებულმა აღიარა დანაშაული, რომელიც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად იქნა მიჩნეული, თუმცა პირობითი მსჯავრის გამოყენების ნაწილში სასამართლოს დასაბუთება ძალიან მწირია. განაჩენში მხოლოდ ფორმალურად არის ციტირებული საქართველოს სსკ-ს 39-ე და 53-ე მუხლები.

### 3.1.1. საერთო სასამართლოების პრაქტიკა სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლთან მიმართებით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151<sup>1</sup> მუხლი გენდერულად ნეიტრალურია და თანაბრად ვრცელდება ყველაზე, როგორც ქალებზე, ისე კაცებზე, რაც პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს. თუმცა, საერთო სასამართლოების პრაქტიკაც ცხადყოფს, რომ ადევნების მსხვერპლი ძირითად შემთხვევაში ქალია (მათ შორის, არასრულწლოვანი გოგო<sup>65</sup>), ხოლო დამნაშავე კაცია:


<sup>62</sup> იხ.: <https://rm.coe.int/geo-istanbul-convention-and-explanatory-report-a4/16808d24c5>, გვ. 76.

<sup>63</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 29 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/2316-21. თბილისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული განაჩენი დატოვა უცვლელად (საქმე №1ბ/1905-21).

<sup>64</sup> დამნაშავეს ადევნებასთან ერთად მსჯავრი დაედო დაზარალებულის მიმართ განხორციელებული ძალადობისთვის - ცემისთვის.


<sup>65</sup> 2018-2022 წლებში დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენების მიხედვით, ადევნების მსხვერპლი იყო 10 არასრულწლოვანი.

**პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენების მიხედვით**



გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ადევნებისათვის, 2018-2022 წლებში, მსჯავრი დაედო 31 პირს, ხოლო სქესის ნიშნით - 1 პირს (მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის (238) 13%-ს სასჯელი განესაზღვრა სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის 1-ელ ნაწილზე მითითებით<sup>66</sup>):

**სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის 1-ელი ნაწილის გამოყენების პრაქტიკა**



ზემოაღნიშნული სტატისტიკური ინფორმაცია თვალსაჩინოდ ასახავს საერთო სასამართლოების (პირველი ინსტანციის სასამართლოების) მიერ სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის 1-ელი ნაწილის გამოყენების გრადაციას, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.<sup>67</sup>

სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ერთ-ერთი განაჩენი,<sup>68</sup> რომელშიც პალატამ ნაწილობრივ

დააკმაყოფილა სახელმწიფო ბრალმძებლის მოთხოვნა სასჯელის გამკაცრების ნაწილში. კერძოდ, წინამდებარე საქმეში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ პირს სხვა დანაშაულებთან ერთად მსჯავრი დაედო არასრულწლოვანი გოგოს ადევნებისათვის, თუმცა სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდების მხარის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილ იქნა გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, რაც სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია:

<sup>66</sup> სსკ-ს 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლი ფიგურირებდა 11 მსჯავრდებულთან მიმართებით, ხოლო მხოლოდ სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლი ფიგურირებდა 21 მსჯავრდებულთან მიმართებით (მათ შორისაა, დანაშაულთა ერთობლიობით განხილული საქმეები).

<sup>67</sup> ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები განთავსებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე, იხ.: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/680/diskriminatsiis-nishnit-sheutsqareblobis-motivit-chadenili-danashaulis-statistika>. **შენიშვნა:** წინამდებარე კვლევის მიზნებიდან გამომდინარე სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის 1-ელი ნაწილის გამოყენების მაჩვენებელი დათვლილია საკვლევი დანაშაულების მიხედვით, ხოლო ოფიციალურ სტატისტიკაში არსებული მონაცემები დათვლილია მსჯავრდებულთა რაოდენობის მიხედვით.

<sup>68</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 13 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1ბ/2090-22 (ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 6 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/255-22).

პალატამ აღნიშნა, რომ გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს და აღნიშნულ კონტექსტში დისკრიმინაცია განიმარტება, როგორც „ქმედება, რომელიც უფლებებს ართმევს ან უზღუდავს გარკვეული ნიშნით გამოყოფილ ადამიანთა გარკვეულ კატეგორიას. ის მოიცავს პიროვნებისადმი სხვა ადამიანებისაგან განსხვავებულად ცუდ მოპყრობას მხოლოდ იმიტომ, რომ ის გარკვეულ ჯგუფს მიეკუთვნება. დისკრიმინაცია შესაძლოა განხორციელდეს გენდერის, რასის, ეროვნების, რელიგიის, სექსუალობის და სხვა ნიშნებით. გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია გულისხმობს პიროვნების ინტერესების სანინააღმდეგოდ მოქცევას მხოლოდ იმიტომ, რომ ის ერთი გენდერის წარმომადგენელია და არა - მეორის. ის ძირითადად მომდინარეობს იმ სტერეოტიპებიდან, რომელთა მიხედვითაც ერთი სქესის ადამიანი მეორე სქესის ადამიანზე უფრო მაღლა დგას“.

ამასთან, სასამართლომ მითითება გააკეთა საქართველოს კონსტიტუციაზე, რომლითაც გარანტირებულია თანასწორობის უფლება და ასევე აღნიშნა, რომ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციით ქალთა მიმართ ძალადობა აღიქმება, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმა და გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში; ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით კი გულისხმობს, ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე.“

დამატებით, პალატამ განაჩენში მიუთითა, რომ მოტივი წარმოადგენს მოთხოვნილებითა და ინტერესით განპირობებულ ქმედით ძალას, რომელიც ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილების მიზეზი ხდება. მოტივის განსაზღვრა შესაძლებელია ძირითადად მაშინ, თუ დანაშაულის ჩადენამდე, ჩადენის პროცესში ან მის შემდეგ შესაძლო დამნაშავის ნება გამჟღავნდა საზოგადოებაში რაიმე ფორმით და ობიექტურად შეცნობადი გახდა სხვებისათვის, როგორც დაზარალებულის, ისე გარშემომყოფებისათვის. თუმცა, სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ დამნაშავის მხრიდან შეუწყნარებლობის დემონსტრაცია არ არის მოტივის იდენტიფიცირების ერთადერთი საშუალება. დიდ გავლენას ახდენს ინფორმაცია მისი წარსული ქცევების შესახებ, როგორც შეიძლება იყოს რადიკალური, სოციალურ ქსელებში სიძულვილის ენის გავრცელება და სხვა.

საქმეზე წარმოდგენილი უდავო მტკიცებულებათა ანალიზის შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებულის მიერ არასრულწლოვანის მიმართ დანაშაულის ჩადენა გამონეუული იყო იმით, რომ დაზარალებულს არ ჰქონდა უფლება თავად გადაეწყვიტა სად წასულიყო, ვის შეხვედროდა, რადგან იყო ქალი და მას როგორც კაცს ჰქონდა უფლება ეკონტროლებინა იგი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დანიშნულ სასჯელში შეიტანა ცვლილება და მსჯავრდებულს სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით ნაცვლად 2 წლისა, საიდანაც, დამნაშავეს 1 წლისა და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი ნაწილი ჩაეთვალა პირობითად.

ამასთან, საინტერესოა 2022 წლის ერთ-ერთი გამამტყუნებელი განაჩენი,<sup>69</sup> რომელშიც სასა-

<sup>69</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 24 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/3115-22.



მართლმად დადგენილად მიიჩნია, რომ დამნაშავე სქესის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით ახორციელებდა ორი ქალის მიმართ ადევნებას, რაც გამოიხატებოდა უკანონო თვალთვალში, არასასურველ კომუნიკაციაში, სისტემატურ სიტყვიერ შეურაცხყოფაში. მოძალადე დაზარალებულებს მოიხსენიებდა უშნო ქალებად, მიუთითებდა სხეულის სხვადასხვა ორგანოზე, მათ შორის ინტიმურ ადგილებზე და აკრიტიკებდა მათ ქალური ფორმების გამო. ასევე ერთ-ერთ დაზარალებულს მოუწოდებდა მაკიაჟის გაკეთებისკენ, რათა დაეფარა სიმახინჯე. ადევნების შედეგად, დაზარალებულები განიცდიდნენ ფსიქიკურ ტანჯვას და ჰქონდათ ძალადობის განხორციელების შიში, რაც ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას უქმნიდა მათ.

წინამდებარე საქმეში, სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა დამნაშავეს პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი გარემოებები - ბრალის აღიარება, მტკიცებულებების უდავოდ ცნობა, ეთიკური ქცევა საქმის სასამართლოში განხილვისას, ისე დამამძიმებელი გარემოება - ადევნება ჩადენილი სქესის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ მოძალადეს განუსაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით.

რაც შეეხება, სასამართლოს მიერ, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ადევნებისათვის, განსაზღვრულ სასჯელებს, იგი შემდეგნაირად გამოიყურება:<sup>70</sup>

სასჯელის სახე	2018	2019	2020	2021	2022
თავისუფლების აღკვეთა	1	2	1	4	5
პირობითი მსჯავრი	-	-	-	8	11

ხშირად ქალებზე ადევნება მას შემდეგ ხორციელდება, როდესაც ისინი კაცებთან ასრულებენ სასიყვარულო ურთიერთობას. თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მსხვერპლისათვის მოძალადე ან უბრალო ნაცნობია ან საერთოდ უცნობი პირია მაგალითად, ტაქსის მძღოლი.<sup>71</sup>

სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლი (ადევნება) ასევე მოიცავს არასასურველ კომუნიკაციაში ჩართვას, კომუნიკაციის ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებებით აქტიური კონტაქტის მიღწევით. მათ შორის, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებისა და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით.<sup>73</sup>

ამასთან, თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში შესაძლებელია ქალები გახდნენ ონლაინ და ტექნოლოგიის გამოყენებით განხორციელებული ადევნების მსხვერპლები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ქალებისა და გოგონების მიმართ განხორციელებული კიბერ-ძალადობის ერთ-ერთი ფორმა სწორედ კიბერ-ადევნებაა.<sup>72</sup>

კიბერ-ადევნებაში იგულისხმება ადევნება ელექტრონული ფოსტის, ტექსტური შეტყობინების (ან ონლაინ შეტყობინების) ან ინტერნეტის საშუალებით, რომლებიც ინდივიდუალურად შეიძლება იყოს ან არ იყოს უვნებელი ქმედებები, თუმცა კომბინირებულად ძირს უთხრიდეს მსხვერპლის უსაფრთხოების შეგრძნებას და მასში ინვესტეს სტრესს, შიშს ან განგაშს.<sup>74</sup> ქმედებები შეიძლება მოიცავდეს: ელექტრონული წერილის, ტექსტუ-

GREVIO-ს განმარტებითი ანგარიშის თანახმად,

<sup>70</sup> სტატისტიკური მონაცემები მოიცავს, როგორც მხოლოდ ადევნებით დაკვალიფიცირებულ საქმეებს, ასევე დანაშაულთა ერთობლიობით განხილულ საქმეებსაც, რომლიდანაც მხოლოდ ადევნებისთვის განსაზღვრული სასჯელებია დათვლილი.

<sup>71</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 7 მარტის განაჩენი, საქმე №1/368-22

<sup>72</sup> Volodina v. Russia (№ 2); no. 40419/19, ECtHR, 14.09.2021, § 48.

<sup>73</sup> Explanatory Report – CETS 210 – Violence against women and domestic violence, para. 182, nb.: <https://rm.coe.int/ic-and-explanatory-report/16808d24c6>.

<sup>74</sup> EIGE (European Institute for Gender Equality), nb.: <https://eige.europa.eu/thesaurus/terms/1485>.

რი შეტყობინებების ან მყისიერი შეტყობინებების გაგზავნას, რომლებიც შეურაცხმყოფელი ხასიათისაა ან შეიცავს მუქარას; მსხვერპლის შესახებ შეურაცხმყოფელი კომენტარების განთავსებას ინტერნეტში; მსხვერპლის ინტიმური ფოტოების ან ვიდეოების გაზიარებას ინტერნეტში ან მობილური ტელეფონით.

GREVIO-ს 1-ელი ზოგადი რეკომენდაციის თანახმად - ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ,<sup>75</sup> ციფრულ სფეროში ჩადენილი ადევნება შეიძლება მოიცავდეს მუქარას (სექსუალური, ეკონომიკური, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ხასიათის), რეპუტაციის დაზიანებას, მსხვერპლზე პირადი ინფორმაციის მონიტორინგს და შეგროვებას, პირადი მონაცემების მოპარვას, სექსის მოთხოვნას, მსხვერპლის პიროვნების განსახიერებას და სხვადასხვა ფორმით შევიწროებას. აღნიშნული ქმედება, როგორც წესი, მოიცავს მსხვერპლის თვალთვალს სოციალურ მედიაში, ასევე, ელ-ფოსტის და სატელეფონო კომუნიკაციის თვალთვალს, პაროლების მოპარვას ან მონყობილობების გატეხვას მსხვერპლის პირად სივრცეზე წვდომისთვის, ან სხვადასხვა აპლიკაციის გამოყენებას მსხვერპლის გადაადგილების მონიტორინგისთვის. მოძალადეებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ სხვა პირის პირადი მონაცემები მსხვერპლზე წვდომის მოსაპოვებლად ან მსხვერპლის კონტროლს სხვადასხვა თანამედროვე საყოფაცხოვრებო ტექნიკის მეშვეობით.<sup>76</sup>

იმისთვის, რომ ქმედება ჩაითვალოს კიბერ-ადევნებად, იგი უნდა იყოს განმეორებადი ხასიათის და უნდა იყოს ერთი და იგივე პირის მიერ განხორციელებული. თუმცა სამეცნიერო ნაშრომებში არის მოსაზრება, რომ კიბერ-ადევნების შემთხვევაში, შესაძლებელია არსებობდეს ქმედებათა ისეთი სპექტრი, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ერთ მოვლენასთან. მაგალითად, აშკარა სექსუალური ხასიათის ფოტოსურათის ინტერნეტში თანხმობის გარეშე გამოქვეყნების

ერთჯერად ქმედებას შესაძლებელია თან ახლდეს საიდენტიფიკაციო ინფორმაციის გამჟღავნება, ასევე ამ ქმედებამ შესაძლებელია გამოიწვიოს სხვა პირების დაინტერესება და მათი მხრიდან მსხვერპლთან დაკავშირება, მისი შევიწროება ან დასახიჩრება.<sup>77</sup>

ზემოაღნიშნული საკითხი მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც საერთო სასამართლოების მიერ დადგენილ ცალკეულ განაჩენებში იკითხება (ფაქტობრივი გარემოებებიდან), რომ ბრალდებულის მიერ დაზარალებულის მიმართ განხორციელებული ქმედებები არცთუ იშვიათად ექცევა კიბერ-ადევნების ფარგლებში. მაგალითად, ერთ-ერთი განაჩენის თანახმად,<sup>78</sup> ბრალდებულმა სოციალური ქსელ „ფეისბუქის“ საშუალებით მიწერა დაზარალებულს და სთხოვა მეგობრებში დამატება, რაზეც დაზარალებულს რეაქცია არ ჰქონია - არ უპასუხა და არც მეგობრებში დაიმატა. თუმცა, ბრალდებული კვლავ უგზავნიდა „მესენჯერში“ შეტყობინებებს, ამყარებდა არასასურველ კომუნიკაციას, სთხოვდა „ფეისბუქზე“ დამატებას, გაცნობას და მეგობრობას სოციალური ქსელის გარეთაც. ვინაიდან, დაზარალებული ძალიან შეწუხდა ბრალდებულის ხშირი და არასასურველი შეტყობინებებით, ზრდილობიანად მისწერა, რომ შეეწყვიტა მისთვის შეტყობინებების გაგზავნა, რაზეც ბრალდებულმა უპასუხა, რომ - „რადგან არ იმატებდა მეგობრებში, თავის სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ გვერდზე გააგრძელებდა მასზე სტატუსების გამოქვეყნებას“. აღნიშნულის შემდეგ, დაზარალებულმა ბრალდებული დაბლოკა. თუმცა, მოძალადე „ფეისბუქში“ პირად გვერდზე აქვეყნებდა დაზარალებულის მისამართით სასიყვარულო და ინტიმური ხასიათის პოსტებს, რაც დასტურდებოდა მის კუთვნილ ტელეფონში არსებული მიმონერებით, ეს ფაქტი დაზარალებულისთვის შეურაცხმყოფელი იყო. ამასთან, აღნიშნულ გარემოებას ადასტურებდა დაზარალებულის კუთვნილი ტელეფონის ფოტო გალერეაში ბრალდებულის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული არასასურველი შინაარსის

<sup>75</sup> GREVIO General Recommendation No. 1 on the digital dimension of violence against women adopted on 20 October 2021, <https://rm.coe.int/grevio-rec-no-on-digital-violence-against-women/1680a49147>

<sup>76</sup> იქვე, აბზაცი 41.

<sup>77</sup> Powell and Henry 2017, *Sexual Violence in A Digital Age*, ix.: <https://www.thecommonwealth-ilibrary.org/index.php/comsec/catalog/view/1093/1092/9658>.

<sup>78</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 27 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/4466-22.

სტატუსების ე.წ. „სქრინშოტები“, დაახლოებით 36 ცალი ფოტოსურათის სახით. გარდა ამისა, სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ ბრალდებული დაზარალებულის მიმართ ახორციელებდა ადევნებას, ხშირად ელოდებოდა საცხოვრებელი სახლის სადარბაზოსთან, მოულოდნელად ხვდებოდა ქუჩაში, მაღაზიაში და სკვერში.

წინამდებარე საქმეში, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საქმეზე მოიპოვებოდა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, ამკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის. სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას ხაზი გაუსვა ზეპირობის და უშუალო პრინციპის მნიშვნელობას, რომელიც გულისხმობს სასამართლოს უშუალო კონტაქტს პირებთან, რომლებიც ჩვენებას იძლევიან პროცესზე, რათა შესაძლებელი გახდეს მოწმის ქცევის მანერასა და სანდოობაზე ყურადღებით დაკვირვება. განსახილველ შემთხვევაში კი სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემისას „თვალში საცემი იყო მისი განცდები და მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა მასზე განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებას - მსხვერპლი ბუნებრივი ემოციით, მტკივნეულად იხსენებდა ადევნების ისტორიას. დაზარალებული ჩვენებაში იყო თანმიმდევრული, კატეგორიული და ამომწურავი. სწორედ ზეპირობის პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლო, როგორც ობიექტუ-


რი დამკვირვებელი დარწმუნდა, რომ დაზარალებული ფაქტებს გულწრფელად გადმოსცემდა და მისი ჩვენება იყო თანხვედრაში საქმის სხვა ობიექტურ მტკიცებულებებთან“.

რაც შეეხება სასჯელის დასაბუთებას, სასამართლომ გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 2015 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების - X და Y საქართველოს წინააღმდეგ, ფარგლებში, ხაზი გაუსვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ადეკვატური რეაგირების განხორციელების თვალსაზრისით. საბოლოოდ, სასამართლომ დამნაშავეს სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკის სამომავლო განვითარების კუთხით მნიშვნელოვანია მსგავსი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას სასამართლომ ფართო მსჯელობა განავითაროს კიბერ-ადევნების ქრილში.

გარდა ამისა, წინამდებარე კვლევის ფარგლებში შესწავლილი გამამტყუნებელი განაჩენების თანახმად (2018-2022 წწ), 58 პირს მსჯავრი დაედო ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებული ადევნებისათვის (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ს 11<sup>1</sup>-15<sup>1</sup> მუხლით), მათ შორის უმრავლეს შემთხვევაში ქალზე ადევნება განახორციელა ყოფილმა მეუღლემ:

**საქართველოს სსკ-ს 11<sup>1</sup> მუხლის გამოყენების მაჩვენებელი**



ოჯახური დანაშაულის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სიღრმისეულად შეფასდეს, დანაშაულებრივ ქმედებაში ხომ არ იკვეთებოდა გენდერული დისკრიმინაცია, ქალის ქცევის კონტროლი, მის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულება ან სხვა სახის გენდერული ძალადობა, რომელიც შესაძლებელია გამომდინარეობდეს ქალის გენდერულ როლზე არსებული სტერეოტიპული შეხედულებითა და პატრიარქალური დამოკიდებულებით.

აღნიშნული თემის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოცემულია წინამდებარე კვლევის ფარგლებში შესწავლილი ერთ-ერთი გამამტყუნებელი განაჩენი,<sup>79</sup> რომელშიც პირს მსჯავრი დაედო ოჯახში ძალადობის, ადევნებისა და მუქარის განხორციელებისთვის. თუმცა კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ჩვენი ყურადღება გამახვილდა მხოლოდ ადევნების ეპიზოდზე. აღნიშნული განაჩენი სანიმუშოა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში სასჯელის დასაბუთების თვალსაზრისით:

სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ დაშორების (არაოფიციალურად განქორწინების) მიუხედავად, ყოფილი მეუღლე არ აძლევდა მშვიდი ცხოვრების საშუალებას მის ყოფილ ცოლს, სისტემატურად ურეკავდა მას მობილურ ტელეფონზე, უთვალთვალებდა, მოულოდნელად ხვდებოდა სახლთან, ბავშვების სკოლასთან და საბავშვო ბაღთან. აკონტროლებდა მის გადაადგილებას, ასევე იმას თუ ვისთან მეგობრობდა, რის შემდეგაც ტელეფონზე ურეკავდა და შენიშვნებს აძლევდა. ვინაიდან დაზარალებული იყო ქალი, კაცი მისგან მოითხოვდა უსიტყვო მორჩილებას. ადევნების შედეგად, დაზარალებული განიცდიდა ფსიქოლოგიურ ტანჯვას და იძულებული გახდა მნიშვნელოვნად შეეცვალა ცხოვრების წესი. შეშინებული სისტემატურად იცვლიდა სახლიდან სკოლაში, ბაღში თუ მაღაზიაში გასასვლელი გზების მარშრუტს და ერიდებოდა ქუჩაში მარტო გასვლას.

წინამდებარე საქმეში სასამართლომ მკაფიოდ განმარტა, რომ დამნაშავის ქმედებებში ვლინდებოდა გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობა

ბისა და დისკრიმინაციის მოტივი. კერძოდ, „გამოიკვეთა ბრალდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრი ქალის მიმართ. იგი მსხვერპლს სოციალური იერარქიით თავისზე დაბლა მდგომ, უუფლებო სუბიექტად განიხილავდა, რომლის ცხოვრების წესის, ჩაცმის, ქცევისა და ზოგადად ცხოვრების მიმართულების და ინტერესების განსაზღვრა მხოლოდ მას, როგორც ქმარს შეეძლო, სწორედ ამით არის განპირობებული მისი დაუოკებელი სურვილი აკონტროლოს დაზარალებული, განუსაზღვროს ცხოვრების პრიორიტეტები, დაუნესოს სოციალური და ყოფითი შეზღუდვები. დანაშაულის მოტივი მიუთითებს ბრალდებულის განსაკუთრებულ საშიშროებაზე ოჯახის წევრი ქალის-მეუღლის მიმართ. ბრალდებულის მცდარი სტერეოტიპული განწყობები წარმოადგენს სამომავლო საფრთხეებს ოჯახში ძალადობის გაგრძელების კუთხით. ამდენად, სამომავლო რისკების და ჩადენილი დანაშაულის მოტივის საპასუხოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოძალადეს უნდა განესაზღვროს ადეკვატური და კერძო პრევენციის მატარებელი სანქციები“.

სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრისას სასამართლომ გარდა დანაშაულის მოტივისა, ყურადღება გაამახვილა ჩადენილი დანაშაულის სიმრავლეზე, ინტენსივობასა და ხერხზე.

ამასთან, სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის შუამდგომლობა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის ან პირობითი მსჯავრის გამოყენების თაობაზე და განმარტა, რომ დამნაშავის მხრიდან დანაშაულის აღიარება, მტკიცებულებების უდავოდ ცნობა და სამი არასრულწლოვანი შვილის ყოლა, დამამძიმებელი გარემოებების და სამომავლო რისკების შეფასების გარეშე ვერ გახდებოდა სასჯელის ისეთი სახის და ზომის გამოყენების საფუძველი, რაც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან. სასამართლომ სსკ-ს 53-ე მუხლზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ განსახილველი საქმე არის ის შემთხვევა, როდესაც ნაკლებად მკაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორ-

<sup>79</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო 2019 წლის 3 ივნისის განაჩენი, საქმე №1/2005-19 (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1ბ/1133-19 განაჩენი).



ციელებას დამნაშავეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებიდან გამომდინარე. კერძოდ, „საქმის მასალებით დასტურდება, რომ გენდერული დისკრიმინაცია არ ყოფილა გამოხატული ერთგვარად ქმედებაში, მას ჰქონდა სისტემატური ხასიათი, ბრალდებულის დამოკიდებულება ქალისადმი, როგორც გენდერული თვალსაზრისით უუფლებო ინდივიდზე, რომელიც ვალდებულია აღიაროს მამაკაცის უპირატესობა, ხოლო თავად იყოს ქმრის მონურ მორჩილებაში, საჭიროებს მოძალადის სოციალური სტერეოტიპების გადაფასებას და თვითშეგნების ამალღებას, რასაც უზრუნველყოფს ზომიერად მკაცრი სასჯელის განსაზღვრა. აღნიშნული მოტივით დანაშაულის ჩადენა სასამართლოს გონივრულად აფიქრებინებს, რომ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენების შემთხვევაში აღნიშნულ ნიადაგზე სამომავლოდაც შეიძლება გაგრძელდეს დანაშაული. ის, რომ ბრალდებულს დანაშაულში მხილების შემდეგ არ დაურღვევია შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულება, არ წარმოადგენს პირის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას, როგორც ამას დაცვის მხარე მიიჩნევს. სასამართლოს შეფასებით, სწორედ შემაკავებელი ორდერის გამოცემის აუცილებლობა, ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს პირის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. ის, რომ ბრალდებულს ჰყავს სამი არასრულწლოვანი შვილი ვერ გახდება მსუბუქი სასჯელის განსაზღვრის საფუძველი. პირიქით, დანაშაულის ჩადენა არასრულწლოვანთა თანდასწრებით პირის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს და ასეთ შემთხვევებში აუცილებელია შეფასდეს მოძალადის და დანაშაულის თვითმხილველი ბავშვების თანაცხოვრების საკითხი. სასამართლოს შეფასებით, რომელიც ეყრდნობა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, ბავშვების საუკეთესო ინტერესებისთვის აუცილებელია მოძალადის დროებითი იზოლაცია და განრიდება ბავშვებისგან.

გარდა ამისა, ადვოკატის არგუმენტი - სასამართლოს სავალდებულო წესით გაეთვალისწინებინა დაზარალებულის ნოტარიული

წესით დამონმებული ხელწერილი და მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის სასჯელის სახედ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა განესაზღვრა, გაზიარებული არ იქნა რამდენიმე გარემოებიდან გამომდინარე: 1. დაზარალებულის განცხადება-ხელწერილი დამნაშავეს მიმართ კანონით გათვალისწინებული შეღავათების განევის მოთხოვნაზე, არ წარმოადგენს უარგუმენტოდ გასათვალისწინებელ გარემოებას, - სასამართლო ვალდებულია დაზარალებულის პოზიციასთან ერთად შეაფასოს პირის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებებიც და ერთობლიობაში განსაზღვროს სამართლიანი სასჯელი. 2. დაზარალებულის ხელწერილი თავისი შინაარსით არ იძლევა იმის შეფასების საფუძველს, რომ დაზარალებული და ბრალდებული ანმყო დროში შერიგდნენ; დაზარალებულის ხელწერილი სამომავლო ულტიმატუმის ხასიათს ატარებს; დაზარალებული კანონით გათვალისწინებული შეღავათების განევის მხარს მაშინ დაუჭერს, თუკი ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს გულწრფელად მოინანიებს. გარდა ამისა, სასამართლოსთვის უცნობია რას გულისხმობდა დაზარალებული კანონისმიერი შეღავათის განევაში, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას თუ თავისუფლების აღკვეთის მსუბუქი - არა მაქსიმალური ზომის განსაზღვრას“.

სასამართლომ ხაზი გაუსვა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნას - მოძალადე ისჯებოდეს ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სანქციების საშუალებით, ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობიდან გამომდინარე. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე იყო კომულაციურად, როგორც შიდა კანონმდებლობით, ასევე სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება, სასამართლომ დამნაშავეს დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ განუსაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა (კონკრეტულად, სსკ 11<sup>1</sup>-15<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანა-

შაულის ჩადენისთვის დამნაშავეს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლზე მითითებით).

დაბოლოს, სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ წინა წლების მსგავსად 2021-2022 წლებშიც, ადევნების განმახორციელებელი პირების მიმართ (მსჯავრდებულების) სასჯელის სახით - ვადიანი თავისუფლების აღკვეთა (სასჯელის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით) განსაზღვრულ იქნა, ძირითად შემთხვევაში, დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს (დანართი 3).

რაც შეეხება მხოლოდ ადევნების კვალიფიკაციით მსჯავრდებულ პირებს, უმრავლეს შემთხვევაში სასჯელის სახით განსაზღვრულ იქნა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, რომელიც დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, მათ შორის დაზარალებულის პოზიციის მხედველობაში მიღებით, ჩაითვალა პირობითად. პირობითი მსჯავრი საქართველოს კანონმდებლობის თანახმად არ წარმოადგენს სასჯელის სახეს, იგი არის სხვადასხვა ვადით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის მოხდის განსხვავებული რეჟიმი, რომლის პირობების დარღვევის შემთხვევაში უქმდება პირობითი მსჯავრი და მსჯავრდებულის გამწესება ხდება პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელის მოსახდელად (დანართი 3).

### 3.1.2. საერთო სასამართლოების პრაქტიკა სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლთან მიმართებით

კვლევის ფარგლებში შესწავლილმა განაჩენებმა ცხადყო, რომ ცალკეულ შემთხვევებში, საქარ-

თველოს საერთო სასამართლოები სასჯელის დასაბუთებისას სიღრმისეულად მსჯელობენ ქორწინების იძულებისას მსხვერპლის უფლებების უხემ დარღვევაზე, მათ შორის, არასრულწლოვანებთან მიმართებით სასამართლოები აპელირებენ მათ განსაკუთრებულ მოწყვლადობაზე და შესაბამისად, მიუთითებენ მათზე ზეგავლენის მოხდენის მომეტებული საფრთხეების არსებობაზე.<sup>80</sup> თუმცა, მაშინ როდესაც ქორწინების იძულება თავისი არსით გენდერული დისკრიმინაციის შემცველი<sup>81</sup> დანაშაულია, საქართველოს საერთო სასამართლოები სასჯელის დანიშვნისას იშვიათად მიუთითებენ სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის 1-ელ ნაწილზე - დანაშაულის გენდერულ მოტივზე, რაც მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს მსგავსი ტიპის საქმეებში. შესაბამისად, სასამართლოში საქმის განხილვამდე, გამოძიების წარმოებისას სათანადოდ და სრულყოფილად უნდა იქნეს გამოკვლეული ის გარემოებები, რომლებიც გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივს გამოორიციხავს ან დაადასტურებს.

იძულებით ქორწინებასთან მიმართებით წამების საკითხებზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იგი აღიარებულია, როგორც „გენდერული ძალადობის ფორმა, რომელიც წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას და წამებას“.<sup>82</sup> იმავე მიდგომას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ქალების დეპორტაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე.<sup>83</sup>

გარდა ამისა, CEDAW კომიტეტი, 2017 წლის 26 ივლისის N°35 ზოგად რეკომენდაციაში, მიუთითებს, რომ „გარკვეულ გარემოებებში ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა შეიძლება გაუტოლდეს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან

<sup>80</sup> მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ, 2018 წლის 20 დეკემბრის განაჩენში, საქმე N°1/49-18, ხაზი გაუსვა იმას, რომ „დაზარალებული იყო არასრულწლოვანი, უმუშევარი, არ გააჩნდა დამოუკიდებელი შემოსავლის წყარო და სრულად იყო დამოკიდებული ოჯახის „მარჩენალზე“ - მამაზე, რაც აძლიერებდა დაზარალებულზე ზემოქმედების ხარისხს; გარდა ამისა, დაზარალებულს არ ჰქონდა საშუალება დაეტოვებინა სახლი და სწავლა გაეგრძელებინა იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც ცხრა კლასის შემდგომი განათლების მიღება იყო შესაძლებელი“.

<sup>81</sup> საერთაშორისო სტანდარტზე დაყრდნობით, ქორწინების იძულება არის გენდერზე დაფუძნებული ძალადობის ფორმა და თავისი არსით გენდერული დისკრიმინაციის შემცველი დანაშაულია, რადგან იგი ქალების წინააღმდეგაა მიმართული მათი სქესის/გენდერის გამო და იგი არაპროპორციულ ზეგავლენას ახდენს ქალებზე - ანუ, მისი მსხვერპლი უმეტესწილად ქალები და გოგონები ხდებიან. მათ შორის, სტამბოლის კონვენცია ქორწინების იძულებას, გენდერულ დანაშაულად მოიაზრებს („ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია, 2011, მუხლი 2.1 და 3).

<sup>82</sup> UN General Assembly, Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, A/HRC/31/57, 05.01.2016.

<sup>83</sup> W.H. v. Sweden, no. 49341/10, ECtHR [GC], 08.04.2015; R.H. v. Sweden, no. 4601/14, ECtHR, 10.09.2015.


ღირსების შემლახავ მოპყრობას, მათ შორის გაუპატიურების, ოჯახში ძალადობის ან მავნე პრაქტიკის შემთხვევებში“.<sup>84</sup>

### სტატისტიკური მონაცემები

2018-2022 წლებში, საქართველოს პირველი ინს-

ტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენების შესწავლამ ცხადყო, რომ საკვლევ პერიოდში 31 პირს მსჯავრი დაედო ქორწინების იძულებისთვის. თუმცა, მათ შორის, მხოლოდ 4 პირს<sup>85</sup> განესაზღვრა სასჯელი სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის 1-ელ ნაწილზე მითითებით, რაც მიუთითებს გენდერის ნიშნის გამოკვეთის პრობლემაზე:

#### სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის გამოყენების მაჩვენებელი



განაჩენთა შესწავლამ ცხადყო, რომ დაზარალებულთა მთლიანი რაოდენობის თითქმის ნახევარი არასრულწლოვანი გოგო იყო,<sup>86</sup> რომლებსაც ძირითადად ქორწინებას აიძულებდნენ მათივე ოჯახის წევრები. აღნიშნული აიხსნება იმით, რომ იძულებითი ქორწინება უმეტესწილად ხდება ტრადიციული ძალაუფლების მქონე, პატრიარქალურ იერარქიაზე დამყარებულ საზოგადოებაში. პატრიარქალურ იერარქიაში ნარმოქმნილი როლები (მამა, დედა, შვილი) და მათთან დაკავშირებული მოლოდინი ქმნის იძულებითი ქორწინების მანკიერი პრაქტიკის ლეგიტიმაციას.<sup>87</sup> მაგალითად, პატრიარქალური ნორმები ახდენენ მამების, როგორც ოჯახის თავების ლეგიტიმაციას და შესაბამისად, ძირითად შემთხვევაში, სწორედ მამები იღებენ გადაწყვეტილებას არასრულწლოვანი შვილების ადრეულ/ბავშვობის ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით (შესწავლილ ერთ-ერთ განაჩენში მოსამართლემ პირდაპირ მიუთითა, რომ მამა, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლო-

ბის მოტივით, აიძულებდა ქალიშვილს ექორწინა მისი ნების საწინააღმდეგოდ, რადგან თვლიდა, რომ შვილი მის გადაწყვეტილებებს უნდა დამორჩილებოდა, რადგან იგი იყო კაცი და ოჯახის უფროსი<sup>88</sup>).

ცალკეულ განაჩენებში, სასამართლოები ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით სიღრმისეულად მსჯელობენ ქორწინების იძულების შედეგად მსხვერპლის უფლებების უხეშ დარღვევაზე. მაგალითად, ერთ-ერთ გამამტყუნებელ განაჩენში, სასამართლომ „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის, „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციისა და ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) რეკომენდაციების მიმოხილვის შემდგომ აღნიშნა, რომ „ქორწინება ერთ-ერთი უმნიშვნელოვან-

<sup>84</sup> CEDAW კომიტეტის 2017 წლის 26 ივლისის ზოგადი რეკომენდაცია N°35 ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის შესახებ, რომელიც აახლებს N°19 ზოგად რეკომენდაციას, იხ.: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/N17/231/54/PDF/N1723154.pdf?OpenElement>, § 16.

<sup>85</sup> ოთხი პირიდან სამ პირს მსჯავრი დაედო სსკ-ს 11<sup>1</sup>-150<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო ერთს - სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, 1 საქმეში საბოლოო სასჯელი დადგა დანაშაულთა ერთობლიობით, რომელშიც სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლი არ იყო ძირითადი მუხლი).

<sup>86</sup> 2018-2022 წლებში ქორწინების იძულების მსხვერპლი იყო 26 ქალი და მათ შორის, 12 არასრულწლოვანი გოგო.

<sup>87</sup> საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; იძულებითი ქორწინება - კანონმდებლობა და პრაქტიკა, 2020, გვ. 10, იხ.: <https://gyla.ge/files/2020/%E1%83%99%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%97%E1%83%98-%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.pdf> და ასევე, იხ.: [https://fra.europa.eu/sites/default/files/fra-2014-forced-marriage-eu\\_en.pdf](https://fra.europa.eu/sites/default/files/fra-2014-forced-marriage-eu_en.pdf), გვ. 31-32.

<sup>88</sup> ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის განაჩენი, საქმე N°1/316-22.




ნესი გადანყვეტილება ადამიანის ცხოვრებაში, რამაც შესაძლოა, ადამიანის მთელი მომავალი ცხოვრება განსაზღვროს, რაც პირადი და ოჯახური ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ამიტომ, ასეთ გადანყვეტილებებში იმგვარი ჩარევა, რომელიც ადამიანის ნების იგნორირებას, მისი პოზიციის სრულ უგულებელყოფას გულისხმობს, ადამიანს უუფლებოდ და უუნაროდ წარმოაჩენს, რაც წარმოუდგენელი და დაუშვებელია ისეთ საზოგადოებაში, რომელიც ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს და რომლის ურყევი ნებაა დაამკვიდროს დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება. ქორწინების იძულება პირს ამ პროცესის არა სუბიექტად, არამედ ობიექტად აქცევს და იგი განიხილება, როგორც „ნივთი“, რომლის „განკარგვა“ ყოველგვარი შეზღუდვების გარეშეა შესაძლებელი. ეს

პრობლემა განსაკუთრებით წარმოჩინდება მშობლების მიერ შვილის იძულებაში, დაქორწინდეს მათთვის და არა მისთვის სასურველ ადამიანზე და მიაჩნიათ, რომ შვილზე „ზრუნვა“ იმასაც გულისხმობს, რომ არა მარტო ჩაერიონ, არამედ მის გარეშეც კი მიიღონ გადანყვეტილებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ადამიანის პირადი გადანყვეტილების სფეროა და ლახავს მის უმნიშვნელოვანეს უფლებებს“.<sup>89</sup>

კვლევის ფარგლებში შესწავლილი გამამტყუნებელი განაჩენების თანახმად, 10 პირს მსჯავრი დაედო ოჯახის წევრის - არასრულწლოვანი გოგოს ქორწინების იძულებისთვის (საქართველოს სსკ-ს 11<sup>1</sup>-150<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის). მათ შორის, 7 შემთხვევაში მამა აიძულებდა ქალიშვილს ქორწინებას, 2 შემთხვევაში - დედა, ხოლო 1 შემთხვევაში - ბებია.

**ნათესაური კავშირი მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის**



წინა წლების მსგავსად 2021-2022 წლებშიც, გამოწვევა იყო ქორწინების იძულებისათვის მსჯავრდებული პირების მიმართ სათანადო სასჯელების შეფარდების საკითხი სასამართლო დამნაშავეთა მიმართ ძირითად შემთხვევაში იყენებდა არასაპატიმრო სასჯელებს,<sup>90</sup> რაც პრობლემურია მით უფრო მაშინ, როდესაც დაზარალებული არასრულწლოვანია და თან მაშინ, როდესაც არასრულწლოვანის მიმართ ჩადენილ ქორწინების იძულებას თან სდევს სისტემატური ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რაც იწვევს დაზარალებულის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტანჯვას.

ორ საქმეში სასამართლომ დამნაშავეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩ-

ნია დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ (სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილი). თუმცა, მსჯავრდებულს სასჯელი არ დაუმძიმდა სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, რადგან ორივე საქმის ფაქტობრივი გარემოებები მოიცავდა იმ პერიოდს, როდესაც სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო კანონიერ ძალაში შესული.

სასამართლო პრაქტიკიდან მნიშვნელოვანია კიდევ ერთი განაჩენი, რომელშიც დადგინდა იქნა, რომ ბებია, არასრულწლოვან შვილიშვილს, მისი ნების საწინააღმდეგოდ აიძულებდა ქორწინებას. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმეში პროკურატურამ არ მიუთითა დანაშაულის გენდერულ მოტივზე და შესაბამისად, სასამართლომ

<sup>89</sup> ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 11 ივნისის განაჩენი, საქმე №1/81-20.

<sup>90</sup> იხ.: დანართი 2 და გვ. 52.



ამ კუთხით არ განავითარა მსჯელობა, აღნიშნული განაჩენი დასაბუთებულობის თვალსაზრისით სანიშნოდ უნდა შეფასდეს, რადგან მოსამართლემ ერთი მხრივ ფართოდ იმსჯელა, სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებზე და მასზე დაყრდნობით - ქორწინების იძულების დანაშაულზე და მის მავნე ზეგავლენაზე, ხოლო მეორე მხრივ დასაბუთების ნაწილში მიუთითა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე - ქორწინების იძულების ფორმალური ბუნების თაობაზე და ასევე, აქცენტირება გააკეთა სახალხო დამცველის ანგარიშებზე, სადაც ქორწინების იძულების მავნე პრაქტიკაა განხილული.<sup>91</sup>

შესწავლილი განაჩენების უმრავლესობაში გამამტყუნებელი განაჩენი დადგა და მხოლოდ ორ საქმეში<sup>92</sup> გამართლდა სამი პირი წარდგენილ ბრალდებაში. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მითითებული ბრალდების არსის თანახმად, მამა, გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით, თვლიდა, რომ ქალიშვილის აზრს მნიშვნელობა არ ჰქონდა და მის ნებას უნდა დამორჩილებოდა, სისტემატური მოთხოვნით აიძულებდა შვილს მისი ნების საწინააღმდეგოდ დაქორწინებულიყო.

წინამდებარე საქმეში, ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, ხოლო სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა (ბრალდებულის შვილმა) ისარგებლა საქართველოს სსკ-ს 49-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მოწმისთვის გარანტირებული უფლებებით და უარი თქვა ახლო ნათესავის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მიცემაზე.

სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხნენ მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს გამომძიებლები, რომლებმაც ჩაატარეს სხვადასხვა საგამომძიებო/საპროცესო მოქმედებები. ერთ-ერთი გამომძიებლის განცხადებით, მან დაზარალებულისგან იცოდა, რომ მამა მას აიძულებდა ქორწინებას, ხოლო მეორე გამომძიებლის ცნობით, მან არასრულწლოვანის დედისგან, რომელმაც ასევე უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე, ამოიღო ნიშნობის ოქროს ბეჭედი. თუმცა,

აღნიშნულის მიუხედავად სასამართლომ განმარტა, რომ მოწმეები არ იყვნენ ფაქტის უშუალო შემსწრენი, მათ ის ინფორმაცია, რომელიც მიაწოდეს სასამართლოს, სხვა პირებისგან ჰქონდათ მიღებული. ამდენად, მათ მიერ მიცემული ჩვენებები პირის ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული გარემოებების დადგენის თვალსაზრისით წარმოადგენს ირიბ ჩვენებებს, რომელთა სამართლებრივი ღირებულება ძალიან დაბალია, მაშინ, როდესაც სახეზე არ არის არცერთი პირდაპირი მტკიცებულება. დამატებით, სასამართლომ ამოღებულ ნიშნობის ბეჭედთან დაკავშირებით განმარტა, რომ იგი არ იძლეოდა იმის უტყუარად მტკიცების საფუძველს, რომ ბრალდებული სისტემატურად აიძულებდა ქალიშვილს დაქორწინებას. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მტკიცებულებების მოპოვება და სასამართლოში წარმოდგენა მხარეების კომპეტენციაა, სასამართლოსთვის გაუგებარი აღმოჩნდა, თუ რატომ არ წარმოადგინა ბრალდების მხარემ ის პირი და მისი მშობლები, რომელზე გათხოვებასაც აიძულებდნენ არასრულწლოვანს, რადგან დაზარალებულის გამოკითხვის ოქმით, ისინი ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული გარემოებების უშუალო შემსწრენი უნდა ყოფილიყვნენ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ საქმეზე არ მოიპოვებოდა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის, რის გამოც იგი წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

დაბოლოს, დანაშაულის პრევენციის კუთხით, დადებითად უნდა შეფასდეს ქორწინების იძულების ფაქტზე გამოტანილი ის ერთადერთი განაჩენი, რომლითაც მოძალადეს დაეკისრა ძალიანობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის გავლა.<sup>93</sup>

<sup>91</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 25 ივნისის განაჩენი, საქმე №1234-21.

<sup>92</sup> ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 4 ივლისის განაჩენი, საქმე №1/97-22 და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის განაჩენი, საქმე №1/3-2021.

<sup>93</sup> თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/49-18.

### 3.2. შემამსუბუქებელი გარემოებები

კვლევის ფარგლებში შესწავლილი და გაანალიზებული განაჩენები ცხადყოფს, რომ საერთო სასამართლოები, უმრავლეს შემთხვევაში, დამნაშავეთა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე მიიჩნევენ ბრალის აღიარებასა და ჩადენილი დანაშაულის სინანულს, ასევე წარდგენილი მტკიცებულებების უდავოდ ცნობას.

ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს პასუხისმგებლობის ისეთ შემამსუბუქებელ გარემოებებს, როგორცაა: დაზარალებულისა და ბრალდებულის შერიგება, ბრალდებულის დადებითი დახასიათება<sup>94</sup> და დაზარალებულის მხრიდან პრეტენზიის არქონა. მართალია, ზემოაღნიშნული ყველა გარემოების გათვალისწინება სასჯელის განსაზღვრისას კანონით არის დაშვებული, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თვალსაზრისით მათი გამოყენება ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან მიმართებით მიზანშეწონილი არ არის.

გარდა ამისა, ბოლო წლების სასამართლო პრაქტიკაში კვლავ არის ცალკეული შემთხვევები, როდესაც დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ნასამართლობის არქონა მიიჩნევა. თუმცა, მსგავსი შემთხვევების სიმცირე სასამართლო პრაქტიკის პროგრესზე მიუთითებს. ასევე, მისასაღმებელია იმ მოსამართლეთა პოზიცია, რომლებიც არ იზიარებენ დაცვის მხარის მიერ წარდგენილ ქორწინების დამადასტურებელ მოწმობას, როგორც დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას. მა-

გალითად, ერთ-ერთ განაჩენში,<sup>95</sup> სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქორწინების მოწმობა ვერ შეამსუბუქებდა დამნაშავეს მიერ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულის ხასიათს, მასში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას და ვერ იმოქმედებდა მის მიმართ დასანიშნი სასჯელის შემსუბუქებაზე და ვერ გახდებოდა მის მიმართ კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური შეღავათების გავრცელების საფუძველი.

ცალკეულ შემთხვევებში, ასევე სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს დამნაშავეს პასუხისმგებლობის ისეთ შემამსუბუქებელ გარემოებებს, როგორცაა: ასაკი<sup>96</sup>, ჯანმრთელობის მდგომარეობა<sup>97</sup> და შეზღუდული შერაცხადობა.<sup>98</sup>

სასურველია განაჩენებში ფართოდ იყოს ასახული მსჯელობა დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების შესახებ, რათა ბუნდოვანი არ იყოს იმ გარემოების შინაარსობრივი მხარე, რომლის მხედველობაში მიღებითაც განისაზღვრება საბოლოო სასჯელი, განსაკუთრებით კი არასაპატიმრო სასჯელი. ერთ-ერთ განაჩენში სასამართლომ მართულად მიუთითა სასჯელის მნიშვნელობაზე: *„ამა თუ იმ ქმედებისთვის დაწესებულ/კონკრეტულ შემთხვევაში შეფარდებულ სასჯელს აქვს უნარი შეამციროს როგორც იგივე, ისე სხვა პირების მიერ ამ დანაშაულის ჩადენა. სასჯელმა უნდა უზრუნველყოს, როგორც დამნაშავეს მიერ საკუთარი ცხოვრების წესის უკეთესობისკენ შეცვლა (მომავალში დანაშაულებრივ საქმიანობაზე უარის თქმა), ისე საზოგადოების დაცვა დამნაშავეს აგრესიისგან“.*<sup>99</sup>

<sup>94</sup> მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 26 მარტის განაჩენი, საქმე №1/4348-19.

<sup>95</sup> ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 2 ივნისის განაჩენი, საქმე №1/81-18.

<sup>96</sup> მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 15 მაისის განაჩენში, საქმე №1/2922-18, დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია მისი ასაკი. კერძოდ, იგი იყო საპენსიო ასაკის.

<sup>97</sup> მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2019 წლის 23 ივლისის განაჩენში, საქმე №1/2894, აღნიშნა, რომ დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნეულ იქნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რადგან სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო მძიმე და ესაჭიროებოდა ხანგრძლივი, ადეკვატური მკურნალობა.

<sup>98</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/981-10. სასამართლომ არასაპატიმრო სასჯელის განსაზღვრისას სხვა გარემოებებთან ერთად მხედველობაში მიიღო ის, რომ დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლენის შემდეგ დამნაშავეს 8 თვის განმავლობაში არც ერთხელ არ უცდია დაზარალებულთან მიახლოება და ასევე ექსპერტიზის დასკვნით მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლსაწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის - შეზღუდული შერაცხადობა.

<sup>99</sup> ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 26 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/280-17.

# III. საპროცესო შეთანხმების გამოყენება


## I. ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთა (ქალის/არასრულწლოვანის მოტაცება)

კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენების თანახმად, საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების ყველაზე დიდი წილი მოდის სწორედ ქორწინების იძულების მიზნით ქალის მოტაცების საქმეებზე. აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პრაქტიკა ძალიან აქტუალურია, მათ შო-

რის, მაშინაც, როდესაც დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვანი გოგოა.<sup>100</sup>


2018-2022 წლებში, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ, დადგენილი განაჩენების შესწავლამ ცხადყო, რომ საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 141 ბრალდებულთან (მათ შორის, დანაშაულთა ერთობლიობის დროს)<sup>101</sup>

### საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მაჩვენებელი



საპროცესო შეთანხმების შედეგად მსჯავრდებულთათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელები შემდეგნაირად გამოიყურება:<sup>102</sup>

### ძირითადი სასჯელები



<sup>100</sup> 2018-2022 წლებში დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენების მიხედვით, დაზარალებული იყო 14 არასრულწლოვანი გოგო. 9 საქმეში (9 დაზარალებული არასრულწლოვანი) გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.

<sup>101</sup> პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ, 2018-2022 წლებში, დამდგარი განაჩენების მიხედვით 161 პირს მსჯავრი დაედო ქორწინების იძულების მიზნით ქალისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში, მათ შორის, 141 პირთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.


<sup>102</sup> საქმის არსებითი განხილვით დამდგარი განაჩენების საფუძველზე განსაზღვრული სასჯელები იხილეთ დანართ 1-ში.

სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, ყველაზე ხშირად საპროცესო შეთანხმების შედეგად სასჯელის სახით სასამართლო მსჯავრდებულს უფარდებს ვადიან თავისუფლების აღკვეთას, რომლის ნაწილსაც განსაზღვრავს პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო ნაწილს თვლის პირობითად.

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ სა-

პროცესო შეთანხმების შედეგად ძირითადი სასჯელის სახით ჯარიმის შეფარდების რაოდენობა ძალიან მცირეა და ისიც 2018 წლის შემდეგ არ გამოყენებულა, თუმცა შესწავლილი განაჩენებიდან ირკვევა, რომ საპროცესო შეთანხმება ძირითად შემთხვევაში ფორმდება დამატებითი სასჯელის - ჯარიმის დაკისრებით. კერძოდ, ჯარიმა დამატებითი სასჯელის სახით განესაზღვრა 118 პირს:

**დამატებითი სასჯელის სახით - ჯარიმის დანიშვნა**



ჯარიმის მინიმალური ოდენობა შეადგენდა 2 000 (ორი ათასი) ლარს, ხოლო მაქსიმალური ოდენობა - 20 000 (ათი ათასი) ლარს. თუმცა, განაჩენებში არ იკითხება ბრალდებულთა გადახდისუნარიანობის საკითხი, რაც მნიშვნელოვანია აისახოს სასჯელის დასაბუთებისას.

გარდა ამისა, დამატებითი სასჯელის სახით მხოლოდ ერთ პირს განესაზღვრა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

საპროცესო შეთანხმებაზე სასამართლო კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა - შემონმდეს არის თუ არა კანონიერი და სამართლიანი საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი.<sup>103</sup> საქმის არსებითი განხილვის გარეშე დამდგარ განაჩენებში ძალიან მწირია მსჯელობა ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. ასევე ნაკლებად არის დასაბუთებული დამნაშავეთა მიმართ გამოყენებული სასჯელის სახე და

ზომა. ძირითადად მკაფიოდ არ იკითხება თუ რა კრიტერიუმების (პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების) გათვალისწინებით ხდება ერთი და იმავე დანაშაულში, ერთი და იმავე მუხლით ან მუხლის ნაწილით მსჯავრდებული სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული სასჯელების განსაზღვრა. ზოგიერთ შემთხვევაში, შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სხვადასხვა სასჯელების განსაზღვრისას დიდწილად გავლენას ახდენს ნასამართლობა და წინასწარ შეთანხმებულ დანაშაულებრივ ფაქტში განსაზღვრული თითოეული პირის როლისა და ფუნქციის შეფასება.

გარდა ამისა, შესწავლილი განაჩენების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასამართლოს მხრიდან ძირითად შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურად არის მითითება იმაზე, რომ ბრალდებულს გაცნობიერებული ჰქონდა საპროცესო შეთანხმების არსი. შესაძლებელია, მოსამართლემ განაჩენში სრულად ვერ აღწეროს, თუ

<sup>103</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე-3 ნაწილი.


როგორ დარწმუნდა იმაში, რომ ბრალდებულს მართლაც გაცნობიერებული ჰქონდა თუ არა საპროცესო შეთანხმების არსი, რადგან ეს ბრალდებულის პასუხებთან ერთად მოიცავს მის ქცევასა და მოსამართლის ვიზუალურ დაკვირვებას. თუმცა, პრაქტიკაში არის განაჩენები, რომლებშიც შედარებით ფართოდ არის აღწერილი, მოსამართლის მხრიდან ბრალდებულის სანდოობის შეფასების საკითხი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს: „იმ გარემოების გასარკვევად ბრალდებული რეალურად აცნობიერებდა თუ არა კანონით გათვალისწინებულ უფლებებს, გარანტიებსა და პირობებს, სასამართლო უშუალოდ დარწმუნდა ბრალდებულისაგან შეკითხვების დასმის შედეგად. სასამართლოს აღნიშნული ვალდებულება

არ ატარებდა ამ უფლებების განმარტებისა და თანხმობის მიღების ფორმალურ ხასიათს. ბრალდებულმა სასამართლოს მიერ დასმულ ყველა შეკითხვაზე და დამატებით კითხვებზე ადეკვატური და დამაჯერებელი პასუხი გასცა“.<sup>104</sup>

## II. იძულებითი ქორწინება

2018-2022 წლებში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დადგენილი განაჩენების შესწავლამ ცხადყო, რომ იძულებითი ქორწინებისთვის ბრალდებულ 11 პირთან დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, მათ შორის სამ საქმეში დაზარალებული იყო არასრულწლოვანი გოგო:


### საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მაჩვენებელი



ყველა საქმეში მსჯავრდებულს საბოლოო სასჯელი განესაზღვრა დანაშაულთა ერთობლიობით, შთანთქმის პრინციპზე დაყრდნობით. სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, სსკ-ს 11<sup>1</sup>-150<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განსაზღვრული სასჯელი სხვა დანაშაულების ჩადენისთვის განსაზღვრულ სასჯელებთან შედარებით იყო ყოველთვის ნაკლებად მკაცრი.<sup>105</sup>

წინამდებარე კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, ქვემოთ მოცემულ ცხრილში ილუსტრირებულია ის კონკრეტული სასჯელები, რომლებიც დამნაშავეებს განესაზღვრათ მხოლოდ სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, სსკ-ს 11<sup>1</sup>-150<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის:

### სასჯელები



<sup>104</sup> მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 11 იანვრის განაჩენი, საქმე №1/20-20.

<sup>105</sup> საქმის არსებითი განხილვით დამდგარი განაჩენების საფუძველზე განსაზღვრული სასჯელები იხილეთ დანართ 2-ში.




### III. აღკვეთა

კვლევის ფარგლებში შესწავლილმა განაჩენებმა ცხადყო, რომ ადევნების ბრალდებით მყოფ 23 პირთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რაც მსჯავრდებულთა მთლიანი რაოდენობის მცირე ნაწილს წარმოადგენს (დაახლოებით 10%-ს).

2018-2022 წლებში საპროცესო შეთანხმების საფუძველზე განსაზღვრული სასჯელები შემდეგ-

ნაირად გამოიყურება:


1. ქვემოთ მითითებული სასჯელები აღრიცხულია ძირითადი მუხლის მიხედვით, როდესაც დამნაშავეს საბოლოო სასჯელი განესაზღვრა სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, სსკ-ს 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის შეფარდებული სასჯელით:



**დამატებითი სასჯელის სახით** ერთ მსჯავრდებულს განესაზღვრა ჯარიმა, ხოლო მეორე მსჯავრდებულს - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

2. 5 განაჩენში - მსჯავრდებულებს სასჯელი დაენიშნა დანაშაულთა ერთობლიობით, რომელშიც ადევნების მუხლით განსაზღვრული

სასჯელი შთანთქა სხვა მუხლით განსაზღვრულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა. საკვლევი თემის ინტერესებიდან გამომდინარე ქვემოთ მოცემულ გრაფაში ასახულია მხოლოდ სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, სსკ-ს 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განსაზღვრული სასჯელები:



სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად ფაქტია, რომ სასამართლო ძირითად შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას დამნაშავეთა მიმართ იყენებს არასაპატიმრო სასჯელებს.

## IV. მსჯავრდებულთათვის დაკისრებული მოვალეობები სსკ-ს 65-ე მუხლის მიხედვით

დანაშაულის პრევენციული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, კვლევის ფარგლებში ყურადღება დაეთმო ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, თუ რამდენად ხშირად აკისრებს სასამართლო, პირობითი მსჯავრის დროს, მსჯავრდებულებს გარკვეული მოვალეობების შესრულების ვალდებულებას.

შესწავლილმა განაჩენებმა ცხადყო, რომ ძირითად შემთხვევაში, მსჯავრდებულებს ევალებათ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალონ მუდმივი ბინადრობის ადგილი, თუმცა აღნიშნულის გარდა სასამართლო პრაქტიკა ძალიან მწირია დამატებითი მოვალეობების დაკისრების თვალსაზრისით.

საკვლევი თემის ინტერესებიდან გამომდინარე საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე განაჩენი, რომლებიც დადებითად უნდა შეფასდეს. მაგალითად, ქორწინების იძულების ფაქტზე თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მსჯავრდებულს დააკისრა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის გავლის ვალდებულება.<sup>106</sup> ასევე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ადევნებისთვის მსჯავრდებულ პირს აუკრძალა დაზარალებულის ადგილსამყოფელთან მიახლოება და მასთან ნებისმიერი ფორ-

მით კომუნიკაცია.<sup>107</sup>

ზუგდიდის რაიონული სასამართლო, დანაშაულის განმაპირობებელი ფაქტორების გათვალისწინებით, სხვა სასამართლოებთან შედარებით უფრო ხშირად იყენებს სსკ-ს 65-ე მუხლით გათვალისწინებული მოვალეობების დაკისრების შესაძლებლობას ქალთა მიმართ ძალადობის განმახორციელებელი პირების მიმართ. კერძოდ, ერთ მსჯავრდებულს, რომელსაც მსჯავრი დაედო ადევნებაში - ოჯახის იმ წევრის მიმართ, რომელთანაც მუდმივად ენეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას, სასამართლომ დააკისრა ქალთა უფლებებისადმი მიძღვნილი სპეციალური ტრენინგის გავლის ვალდებულება.<sup>108</sup> ერთ მსჯავრდებულს კი ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსისა და ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილი სპეციალური ტრენინგის გავლის ვალდებულება დააკისრა.<sup>109</sup>

ზემოთ მითითებულ მსჯავრდებულებს და კიდევ ერთ მსჯავრდებულს,<sup>110</sup> სხვა გარემოებებთან ერთად, აეკრძალათ დაზარალებულთან მიახლოება და მასთან კომუნიკაცია უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით. ასევე, სასამართლომ სამივე მსჯავრდებული დაავალდებულა თავი შეეკავებინათ უშუალოდ ან ტექნიკური საშუალებებით დაზარალებულის შესახებ ან მისი სახელით რაიმე ინფორმაციის გავრცელებისგან.

<sup>106</sup> თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 29 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/49-18.

<sup>107</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 5 აპრილის განაჩენი, საქმე №1/929-21.

<sup>108</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი, საქმე №1/138-20.

<sup>109</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 30 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/140-18.

<sup>110</sup> ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 აპრილის განაჩენი, საქმე №1/6-19. აღნიშნულ საქმეში დაზარალებულთან ერთად მსჯავრდებულს აეკრძალა მსხვერპლის ოჯახის წევრებთან მიახლოება და კომუნიკაცია.

# V. სასამართლოს მიერ დანაშაულის გადაკვალიფიცირება

შესწავლილი განაჩენებიდან მხოლოდ სამ საქმეში გადააკვალიფიცირა ბრალი სასამართლომ თავისი ინიციატივით:

1. სასამართლომ ბრალი გადააკვალიფიცირა სსკ-ს 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე. წარდგენილი ბრალდებიდან პირს მოეხსნა მაკვალიფიცირებელი ნიშანი - წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, რადგან სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დასტურდებოდა გარემოება, თუ რამდენად გაცნობიერებული და შეცნობილი ჰქონდა ბრალდებულს დაზარალებულის ორსულობის ფაქტი. სასამართლომ მართალია უტყუარად მიიჩნია ის ფაქტობრივი გარემოება, რომ დაზარალებული იყო ორსულად, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ რამდენადაც მნიშვნელოვანია ობიექტურად იმის დადგენა, იყო თუ არა მსხვერპლი ორსულად, ასევე მნიშვნელოვანია სუბიექტურად დამნაშავის წინასწარი შეცნობის დადგენა დანაშაულის ამ მაკვალიფიცირებელი გარემოების მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მხოლოდ ობიექტური ელემენტის საკმარისობის შემთხვევაში, სახეზე გვექნებოდა დანაშაული ჩადენილი ორსული ქალის და არა წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ;<sup>111</sup>
2. სასამართლომ ბრალი გადააკვალიფიცირა სსკ-ს 11<sup>1</sup> 151<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან, ამავე მუხლის 1-ელ ნაწილზე. კერძოდ, წარდგენილი ბრალდებიდან პირს მოეხსნა მაკვალიფიცირებელი ნიშანი - არაერთგზისობა, რადგან სასამართლომ განმარტა, რომ „.....დანაშაული არაერთგზისად

ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს“. წინამდებარე საქმეში ბრალდებული პირი თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის განაჩენით მსჯავრდებული იყო სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლის 1-ელი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, თუმცა პრობაციის ბიუროს ცნობით ირკვეოდა, რომ მას გაუუქმდა პირობითი მსჯავრი და მოეხსნა ნასამართლობა. შესაბამისად, ვინაიდან ბრალდებული პირის მიერ ბრალად შერაცხული ქმედებები განხორციელებული იყო ნასამართლობის მოხსნის შემდეგ, სასამართლომ არასწორად მიიჩნია პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირებულიყო არაერთგზისად.<sup>112</sup>

3. ერთ საქმეში სასამართლომ<sup>113</sup> ორ ბრალდებულთან მიმართებით ბრალი გადააკვალიფიცირა სსკ-ს 143-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებიდან სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლის 1-ელ ნაწილზე. სასამართლომ დაზარალებულის ჩვენება ნაკლებად სანდოდ მიიჩნია ძალადობით და ძალადობის გამოყენების მუქარით თავისუფლების უკანონო აღკვეთასთან დაკავშირებით, რადგან სასამართლომ სრულიად განსხვავებული სურათი მიიღო ბრალდებულების მხრიდან დაზარალებულის მანქანაში ჩასმის ეპიზოდთან დაკავშირებით. კერძოდ, მაშინ, როდესაც ერთ-ერთი მოწმე განმარტავდა, რომ მან აივნისა და იანაბა თუ როგორ ჩასვეს ბრალდებულებმა ძალადობის გამოყენებით დაზარალებული მანქანაში და ასევე

<sup>111</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 17 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1ბ/551-19 (თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 თებერვლის განაჩენი №1/2872-18).

<sup>112</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/32-21.

<sup>113</sup> გორის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის განაჩენი, საქმე 1/610-21.

გაიგო ყვირილის ხმებიც, დაზარალებულმა თავის ჩვენებაში უარყო აღნიშნული და თქვა, რომ ყვირილისთვის და რაიმე ფორმით „ისტერიკისთვის არ მიუმართავს“. უფრო მეტიც, დაზარალებულმა ერთ-ერთი ბრალდებულის მიერ დასმულ შეკითხვაზე დაადასტურა, რომ მანქანაში უკან მჯდომმა თხოვნაც კი შეუსრულა ბრალდებულს თავი ჩაენია და ჩამალულიყო, რათა არავის დაენახა იგი. ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ მანქანაში დაზარალებულის „მორჩილი ქცევა“ არ შეიძლებოდა შეფასებულიყო ადეკვატურ ქცევად იმ ფონზე, თუ მის მიმართ ბრალდებულებმა ძალადობა გამოიყენეს. გარდა ამისა, სასამართლოს კითხვაზე, თუ რატომ მიმართა სამართალდამცველებს გვიან, დაზარალებულმა განმარტა, რომ წინა დღით შემდგარი ნიშნობის გამო ამბის გახმაურება არ სურდა, თუმცა პოლიციისთვის მიმართვის შემდეგ იქნა თუ არა დაცული ამბის გახმაურებისგან, დამაჯერებელი პასუხი არ გაუცია. ამასთან, სასამართლოსთვის გაურკვეველი იყო სატელეფონო საუბრის დროს დაზარალებულის ბიციოლის მხრიდან დასმული შეკითხვა „თუ სად იყო იგი და რატომ არ იმყოფებოდა სახლში“, მაშინ, როდესაც მოწმის (ბიციოლას) ჩვენებით იგი დაზარალებულის გატაცების უშუალო თვითმხილველი იყო. ზემოაღნიშნულის გარდა, სასამართლომ ხაზი გაუსვა შემთხვევის ადგილის მდებარეობას - რამდენად ხილვადი იყო ხედი დაზარალებულის სახლიდან ან/და რამდენად შეეძლოთ მეორე მხარეს მდგომ პირებს სრულად დაენახათ სახლის აივანი და ფანჯრები. თანდართული ფოტოსურათების მიხედვით, დაზარალებულის სახლის ეზოში ნამდვილად შეინიშნებოდა ხეების სიმრავლე. ამდენად სახლის რა დეტალების ნახვა იყო შესაძლებელი, სასამართლომ კატეგორიული პასუხები ვერ მიიღო, რის გამოც გონივრული ეჭვი ბრალდებულთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ვინაიდან, სსკ-ს 143-ე მუხლის დისპოზიციური შინაარსი ფორმალურია, იგულისხმება, რომ დანაშაული დასრულებულია თავისუფლების აღკვეთის საწყისი მომენტიდან, წინამდებარე საქმეში, სასამართლო გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დარწმუნდა ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი დაზარალებულის მანქანაში იძულებით ჩასმას, იყო თუ არა ძალადობა ან/და მუქარა ჯგუფურად და დაზარალებულს ჰქონდა თუ არა გადაადგილების თავისუფლება შეზღუდული.

თუმცა, სასამართლომ მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგად უდავოდ მიიჩნია, რომ ბრალდებულთა ქმედებები სრულად შეესაბამებოდა სსკ-ის 150<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიციურ შინაარსს და შესაბამისად, სახეზე იყო ქორწინების იძულება. დაზარალებულმა არაერთხელ განმარტა და დაადასტურა, რომ ერთ-ერთი ბრალდებული ქორწინების გადანყვეტილების მიღებას სთხოვდა მას, ხოლო მეორე ბრალდებული აქტიური ქმედებით და ფსიქოლოგიური დარწმუნების მეთოდით აიძულებდა მას ქორწინების გადანყვეტილებაზე დათანხმებას. დამატებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მანქანის გზაზე არაერთხელ გაჩერების ფაქტი, მათ შორის ბენზინგასამართ სადგურზეც, ადასტურებს, რომ დაზარალებულს გადაადგილების სრული თავისუფლება ჰქონდა, გადაადგილების შესაძლებლობა აღკვეთილი არ ჰქონდა, მას მცდელობაც კი არ გამოუვლენია თავი დაეღწია მის წინააღმდეგ თავისუფლების უკანონო აღკვეთისგან, როგორც დენადი დანაშაულისგან, თუნდაც საშველად სხვა პირების მოხმობით, რადგან უმთავრესი პრობლემა ავტომანქანაში იყო მისთვის ბრალდებულთა იძულება ქორწინების თაობაზე. ამასთან, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ დაზარალებულის მხრიდან საბოლოო უარის თქმის შემდგომ, ბრალდებულებმა იგი დააბრუნეს სახლში.

საქართველოში ქალების და გოგოების მიმართ სხვადასხვა ფორმის ძალადობა, მათ შორის, ადევნება, ქორწინების იძულება და ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთა მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. შესაბამისად, არსებითია, როგორც ძალადობის შემთხვევების დროული იდენტიფიცირება და რეაგირება, ისე პრევენციული ღონისძიებების გატარება ძალადობის აღსაკვეთად.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში სასამართლო სისტემას საპასუხისმგებლო როლი აკისრია, რადგან ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის/გოგოებისთვის დანაშაულის სწრაფ და ეფექტიან გამოძიებასთან ერთად, მნიშვნელოვანია საქმეზე დროული გადანყვებილების მიღება და მოძალადისთვის კანონიერი და სამართლიანი სასჯელის შეფარდება. შესაბამისად, ახალი საკანონმდებლო რეგულაციებისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების კვალდაკვალ შესწავლილი საერთო სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენების გაანალიზების შედეგად, პრაქტიკაში დამკვიდრებული მნიშვნელოვანი ტენდენციები გამოიკვეთა.

განაჩენთა შესწავლამ ცხადყო, რომ ქალებისთა მიმართ ძალადობის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებისას და საქმეზე განაჩენის გამოტანისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაზარალებულის ჩვენებას, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მოძალადეს. ამასთან, პრაქტიკამ ცხადყო, რომ იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაზარალებულის ჩვენება სანდოდ არის მიჩნეული, იგი უნდა იყოს გამყარებული სხვა პირდაპირი მტკიცებულებით, რათა საქმეზე დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი.

ზემოაღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები გამოირჩევა მტკიცებულებების სიმწირით და განსაკუთრებით რთულია პირდაპირი მტკიცებულებების მოპოვება, მით უფრო მაშინ, როდესაც დაზარალებული იყენებს მისთვის მინიჭებულ კონსტიტუციურ უფლებას და უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე ახლო ნათესავის წინააღმდეგ, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით შესაძლებელია დამატებითი ბარიერები შექმნას საერთო სასამართლოების მიერ დამკვიდრებულმა პრაქტიკამ - პირის მსჯავრდებისათვის მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობის აუცილებლობის შესახებ.

ამასთან, მსგავსი კატეგორიის დანაშაულებში მნიშვნელოვანია გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთა, რაც ბოლო წლებში არსებული პროგრესის მიუხედავად, პრაქტიკაში კვლავ გამოწვევად რჩება. მათ შორის, ისეთ საქმეებზე, რომლებშიც დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, დისკრიმინაციული მოტივი ცალსახაა. მაგალითად, ქორწინების იძულების და ქორწინების იძულების მიზნით ქალის/არასრულწლოვანი გოგოს მოტაცების საქმეებში. აღნიშნულზე მიუთითებს კვლევაში წარმოდგენილი სტატისტიკური ინფორმაცია. იგივე ითქმის ადევნებასთან მიმართებით, რომლის ჩადენაც, უმეტესწილად, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულების, მასზე უფლებების ქონის სურვილით, მისი ქცევის კონტროლის და გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზებით ხდება.

განაჩენთა შესწავლამ ცხადყო, რომ გარკვეულ შემთხვევებში სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო ნაკლებად ამხვილებს ყურადღებას ძალადობის წინარეისტორიაზე. თუმცა, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპზე დაყრდნობით, სასამართლოს მიერ ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებისა და ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე კონკრეტული საფრთხეების შეფასებისას, მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს ძალადობის წინარეისტორიაზე, რისი დამადასტურებელიც შესაძლებელია იყოს საქმეში არსებული შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერები.

GREVIO-ს რეკომენდაციების კვალდაკვალ, დადებითად და პროგრესულად უნდა შეფასდეს ადევნებასთან მიმართებით დადგენილი ის განაჩენები, რომლებშიც მოსამართლეები ფსიქიკური ტანჯვის უტყუარობის დასადასტურებლად



იმპერატიულად არ მოითხოვენ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ადევნების ფაქტი შესაბამისი რეაგირების გარეშე დარჩეს.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილ განაჩენთა უმრავლესობაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი, გამონწვევად რჩება მსჯავრდებულთა მიმართ სათანადო სასჯელების შეფარდების საკითხი, რადგან ძირითად შემთხვევაში გამოიყენება არასაპატიმრო სასჯელები. რეალური სასჯელის განსაზღვრა უმეტესად დანაშაულთა ან/და განაჩენთა ერთობლიობის დროს ხდება.

რაც შეეხება, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დამდგარ განაჩენებს: სსკ-ს 151<sup>1</sup> და 150<sup>1</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩამდენ პირებთან იშვიათად ფორმდება საპროცესო შეთანხმება, რასაც ვერ ვიტყვით სსკ-ს 143-ე მუხლით ბრალდებულ პირებზე, რადგან მათ მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმების პრაქტიკა ძალიან აქტუალურია, მათ შორის, მაშინაც, როდესაც დაზარალებული არის არასრულწლოვანი გოგო. ამასთან, საპროცესო შეთანხმება

ძირითად შემთხვევაში ფორმდება დამატებითი სასჯელის - ჯარიმის დაკისრებით. თუმცა, განაჩენის ტექსტში ხშირ შემთხვევაში არ იკითხება ბრალდებულთა გადახდისუნარიანობის საკითხი. ასევე, არ იკითხება, თუ რამდენად შეიძლება ჰქონდეს ამგვარ სასჯელს პრევენციული ეფექტი ისეთი სერიოზული და თავისი არსით დისკრიმინაციული დანაშაულის შემთხვევებში, როგორცაა ქალის (განსაკუთრებით კი, არასრულწლოვანი გოგოს) თავისუფლების უკანონო აღკვეთა ქორწინების იძულების მიზნით, რაც გამყარებულია პატრიარქალური სოციალური და კულტურული ნორმებით და ხშირად შეიძლება თან ახლდეს სექსუალური ძალადობა, ოჯახში ძალადობა და სხვა დანაშაულები.

დაბოლოს, საერთო სასამართლოები, გარკვეულ შემთხვევებში, პირობითი მსჯავრის დროს, მოძალადეებს აკისრებენ გარკვეული მოვალეობების შესრულებას (მაგალითად, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო ტრენინგის გავლას), რაც მიუთითებს სასამართლოს მხრიდან დანაშაულის პრევენციული ღონისძიებების განხორციელებაზე.

## რეკომენდაციები

- საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ქალთა და გოგოთა მიმართ ძალადობის სპეციფიკიდან გამომდინარე გადაიხედოს მტკიცებულებითი სტანდარტი - რაც სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად და გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, ორი პირდაპირი მტკიცებულების მოთხოვნის აუცილებლობას გულისხმობს;
- სასურველია განაჩენებში ფართოდ იყოს ასახული მსჯელობა დამნაშავეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების შესახებ, რათა ბუნდოვანი არ იყოს იმ გარემოების შინაარსობრივი მხარე, რომლის მხედველობაში მიღებითაც განისაზღვრება საბოლოო სასჯელი, განსაკუთრებით კი არასაპატიმრო სასჯელი; ქალთა და არასრულწლოვან გოგოთა მიმართ გენდერული ძალადობის საქმეებზე სათანადო სასჯელების განსაზღვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა მართლმსაჯულების სისტემამ ეფექტიანი როლი შეასრულოს აღნიშნული დანაშაულების ისტორიული და სისტემური დაუსჯელობის აღმოფხვრაში და ხელი შეუწყოს ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- საერთაშორისო სტანდარტებიდან გამომდინარე, სასჯელის განსაზღვრისას მიზანშეწონილია, სასამართლო მეტი გულისხმიერებით მოეკიდოს ძალადობის წინარეისტორიის მხედველობაში მიღებას;
- მართლმსაჯულების სისტემის მხრიდან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გენდერული დისკრიმინაციის მოტივის დადგენას ისეთ ქმედებებზე, რომლებიც, თავისი არსით გენდერული დისკრიმინაციის შემცველი დანაშაულებია. ამის კლასიკური მაგალითია ქორწინების იძულება და ქორწინების იძულების მიზნით ქალის მოტაცება. შესაბამისად, მიზანშეწონილია საერთო სასამართლოებმაც აღნიშნული დანაშაულები განიხილონ გენდერული დისკრიმინაციის ქრილში და სასჯელის განსაზღვრისას იხელმძღვანელონ სსკ-ს 53<sup>1</sup> მუხლით. მსგავსი სტანდარტი მნიშვნელოვანია მოქმედებდეს ადევნების შემთხვევაშიც, რომლის ჩადენაც, უმეტესწილად, ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულების, მასზე უფლებების ქონის სურვილით, მისი ქცევის კონტროლის და გენდერთან დაკავშირებული სხვა მიზეზებით ხდება;
- საპროცესო შეთანხმება აღნიშნულ საქმეებზე მნიშვნელოვანია ფორმდებოდეს და მტკიცდებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრული სასჯელი არის სამართლიანი, სათანადოდ ითვალისწინებს დანაშაულის სერიოზულობას (განსაკუთრებით არასრულწლოვანი მსხვერპლების შემთხვევაში) და შეუძლია პრევენციული ფუნქციების შესრულება;
- ადევნებასთან მიმართებით სასურველია გათვალისწინებულ იქნეს GREVIO-ს რეკომენდაციები და „ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის იძულება ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალური საჭიროება“ არ იქნეს მიჩნეული სავალდებულო გარემოებად და ასევე, ფსიქიკური ტანჯვის უტყუარად დასადასტურებლად არ უნდა იქნეს იმპერატიულად მოთხოვნილი ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
- სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებში მოხდეს ქალთა მიმართ ძალადობის ონლაინ განზომილებასთან, მათ შორის, კიბერადევნებასთან დაკავშირებული სპეციფიკური სტანდარტების მითითება, რაც ასევე მოიცავს მსხვერპლის პირადი ინფორმაციის დაცვისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების საკითხების მხედველობაში მიღებას;
- მიზანშეწონილია გაიზარდოს სატრენინგო აქტივობები მოსამართლეებისათვის და მათი თანაშემწეებისათვის (პრიორიტეტულად უნდა გამოიყოს ახლადგამნესებული

მოსამართლეები და ახლადდანიშნული თანაშემწეები), გაეროს „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ კონვენციის (მათ შორის, ფაკულტატური ოქმისა და ზოგადი რეკომენდაციების), ევროპის საბჭოს „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის“ შესახებ კონვენციის და სხვა რელევანტური საერთაშორისო აქტების შესახებ, რომლებსაც უპირატესი ძალა აქვს ში-

დასახელმწიფოებრივ სამართლებრივ აქტებთან მიმართებით და შიდა კანონმდებლობის ინტერპრეტაცია და გამოყენება უნდა ხდებოდეს აღნიშნული სტანდარტების გათვალისწინებით. ეს ხელს შეუწყობს საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაციას სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში და გენდერული ძალადობის მსხვერპლებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაზრდას.

# დანართები

## დანართი 1

საქმის არსებითი განხილვით დამდგარი განაჩენების საფუძველზე განსაზღვრული სასჯელები (მსჯავრდებულთა რაოდენობის მიხედვით), ქორწინების იძულების მიზნით ქალის/არასრულწლოვანი გოგოს მოტაცების საქმეებზე:

სასჯელები	2018	2019	2020	2021	2022
თავისუფლების აღკვეთა	3	1	-	9	2
სსკ-ს 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი	3	-	-	1	1

დამატებითი სასჯელის სახედ 1 პირს შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები.

## დანართი 2

საქმის არსებითი განხილვით დამდგარი განაჩენების საფუძველზე განსაზღვრული სასჯელები (მსჯავრდებულთა რაოდენობის მიხედვით), ქორწინების იძულების საქმეებზე

1. საბოლოო სასჯელი განისაზღვრა სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, 11<sup>1</sup>-150<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის შეფარდებული სასჯელით (მათ შორის, დანაშაულთა ერთობლიობის დროს):

სასჯელები	2018	2019	2020	2021	2022
თავისუფლების აღკვეთა	-	-	-	-	2
სსკ-ს 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი	1	-	-	-	-
სრულად პირობითი	-	1	1	1	3
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	1	-	-	-	-

2. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია სსკ-ს 150<sup>1</sup> (მათ შორის, 11<sup>1</sup>-150<sup>1</sup> მუხლით) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განსაზღვრული სასჯელები, როდესაც დანაშაულთა ერთობლიობის დროს, თანაბარი სასჯელებიდან ერთმა შთანთქა მეორე:

სასჯელები	2018	2019	2020	2021	2022
თავისუფლების აღკვეთა	-	-	-	-	1
სრულად პირობითი	-	-	-	1	-



3. დანაშაულთა ერთობლიობით განხილული საქმეები, რა დროსაც სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, 11<sup>1</sup>-150<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განსაზღვრული სასჯელი შთანთქა უფრო მკაცრმა სასჯელმა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია მხოლოდ სსკ-ს 150<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელები

სასჯელები	2018	2019	2020	2021	2022
თავისუფლების აღკვეთა	-	-	1	2	-
სრულად პირობითი	-	1	1	-	-
ჯარიმა	-	-	-	1	-
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	-	-	1	-	1

დამატებითი სასჯელის სახედ 1 პირს შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები.

### დანართი 3

საქმის არსებითი განხილვით დამდგარი განაჩენების საფუძველზე განსაზღვრული სასჯელები (მსჯავრდებულთა რაოდენობის მიხედვით), ადევნების საქმეებზე

1. საბოლოო სასჯელი განისაზღვრა სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის შეფარდებული სასჯელით (მათ შორის, დანაშაულთა ერთობლიობის დროს):

სასჯელები	2018	2019	2020	2021	2022
თავისუფლების აღკვეთა	7	13	11	15	6
სსკ-ს 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი	1	-	4	1	1
სრულად პირობითი	7	11	12	20	18
ჯარიმა	-	10	3	5	5
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	-	1	1	-	4

დამატებითი სასჯელის სახედ 19 პირს შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები, 2 პირს განესაზღვრა ჯარიმა, ხოლო 3 პირს საზ. სასარგებლო შრომა.

2. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განსაზღვრული სასჯელები, როდესაც დანაშაულთა ერთობლიობის დროს, თანაბარი სასჯელებიდან ერთმა შთანთქა მეორე:

სასჯელები	2018	2019	2020	2021	2022
თავისუფლების აღკვეთა	2	3	1	-	1
სრულად პირობითი	-	2	3	2	2
ჯარიმა	-	-	-	-	1

დამატებითი სასჯელის სახედ 2 პირს შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები.

3. დანაშაულთა ერთობლიობით განხილული საქმეები, რა დროსაც სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის, 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განსაზღვრული სასჯელი შთანთქა უფრო მკაცრმა სასჯელმა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია მხოლოდ სსკ-ს 151<sup>1</sup> მუხლით (მათ შორის 11<sup>1</sup>-151<sup>1</sup> მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულისთვის განსაზღვრული სასჯელები

სასჯელები	2018	2019	2020	2021	2022
თავისუფლების აღკვეთა	3	2	5	7	8
სსკ-ს 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი	-	-	1	1	-
სრულად პირობითი	-	1	1	3	2
ჯარიმა	-	2	2	-	1
საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა	-	1	-	-	2

დამატებითი სასჯელის სახედ 1 პირს შეეზღუდა იარაღთან დაკავშირებული უფლებები.

#### დანართი 4

შესწავლილი განაჩენებიდან გარკვეულ შემთხვევებში არ იკითხებოდა თუ რა აღკვეთის ღონისძიების სახე იყო გამოყენებული ბრალდებულთა მიმართ, თუმცა ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია ის მონაცემები, რომელთა იდენტიფიკაციაც მოხდა განაჩენების მიხედვით:

წლები	ადევნებისთვის ბრალდებული პირების მიმართ		ქორწინების იძულებისთვის ბრალდებული პირების მიმართ		ქორწინების იძულების მიზნით თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის ბრალდებული პირების მიმართ	
	პატიმრობა	გირაო	პატიმრობა	გირაო	პატიმრობა	გირაო
2018	14	22	1	3	24	12
2019	32	19	1	1	37	-
2020	31	16	4	3	16	-
2021	37	25	6	4	33	9
2022	21	40	6	2	15	7

UN Women Georgia Country Office,  
87 Paliashvili Street, Office Suite 4,  
Tbilisi 0179, Georgia  
Tel: (995 32) 222 06 04  
(995 32) 222 08 70

[www.unwomen.org](http://www.unwomen.org)  
[georgia.unwomen.org](http://georgia.unwomen.org)

